შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№34 (10.139)

21-28 სექტემბერი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ახალი სასწავლო წელი დაიწყო!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სულ 2 664 მოსწავლეა. აქედან 208 ბავშვმა სკოლის კარი პირველად შეაღო. ახალი სასწავლო წელი ახალი იმედებით დაიწყო 15 საჯარო და 1 კერძო სკოლაში. 16 სექტემბერს სოფელ სამთაწყაროში ახლადრეაბილიტირებული საჯარო სკოლის შენობა გაიხსნა. მისი სრული რეაბილიტაციისთვის 4 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. უახლოეს დღეებში უნდა გაიხსნას ახლადაშენებული სკოლა ოზაანშიც, რასაც 3 მილიონი მოხმარდა. მალე დასრულდება სამრეკლოს სკოლის ძირეული განახლების სამუშაოები. ხოლო ახალი სასკოლო შენობების მშენებლობა იწყება ქალაქ დედოფლისწყაროში, ზემო ქედსა და არბოშიკში. ამის გამო სამ სკოლას მეზობელი სკოლის შენობებში მოუწია სასწავლო წლის დაწყება.

ახალი სასწავლო წლის გახსნის ღონისძიებას რამდენიმე სკოლაში დაესწრნენ დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი მაკა ჯანაშვილი. მათ პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მშობლებს სასწავლო პროცესის განახლება მიულოცეს. ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში აქტიურად გრძელდება სასკოლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-განახლება. პროცესი შეუქცევადია და მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით, ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა მოსწავლეს განათლების მიღების ღირსეული პირობები ექნება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მასშტაბით უცხოენოვანი სექტორი მხოლოდ ორ სოფელში მოქმედებს. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით ჯამში 60 მოსწავლეა ჩარიცხული. რუსული სექტორი მოქმედებს ხორნაბუჯის სკოლაში, ხოლო სომხური საბათლოს სკოლაში.

დედოფლისწყაროს სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის რუსულ სექტორზე მრავალი წელია ახალი მოსწავლე აღარ შესულა, თუმცა აქ რუსულენოვანი სექტორი მაინც მოქმედებს. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის, მარინა პოპიაშვილის განმარტებით, ხორნაბუჯის სკოლას ამჟამად 296 მოსწავლე ჰყავს, საიდანაც 25 რუსულ სექტორზეა 271 კი ქართულზე.

„წელს არ შემოსულა რუსულ სექტორზე სწავლის მსურველი არცერთი მოსწავლე. ბოლო წლებში ეს ტენდენციაა. ამჟამად ხორნაბუჯის სკოლაში მოქმედ რუსულ სექტორზე გვაქვს მე-8 – მე-9 და მე-11–მე-12 კლასები“ – ამბობს პოპიაშვილი.

გენადი ჩოვუშიანი *(საბათლოს სკოლის დირექტორის მ/შ):* „ახალი სასწავლო წელი 43 მოსწავლით დავიწყეთ. გასულ წელს არცერთი პირველკლასელი არ შემოსულა, წელს კი ორი მოსწავლე მივიღეთ. როგორც იცით, ჩვენთან სწავლება მიმდინარეობს ქართულ და სომხურ ენებზე, ამდენად ორი სექტორი მოქმედებს. ამჟამად სომხურ სექტორზე 35 მოსწავლეა, ქართულზე - 8. მცირეკონტინგენტიანი სკოლა გვაქვს, ძირითადად კლასკომპლექტებია. მე-9 კლასამდე გვყავს ბავშვები. ამჟამად საბათლოს სკოლაში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები არ გვყავს. სასწავლო გარემოს რაც შეეხება, შენობა კარგ მდგომარეობაშია, რაიმე სახის პრობლემები, ან დაბრკოლებები არ გვაქვს. 2014 წლიდან ეტაპობრივად ყოველწლიურად ვახორციელებდით გარკვეულ სარემონტო სამუშაოებს. პედაგოგები მზად არიან კვლავ ერთგულად ემსახურონ მომავალი თაობის აღზრდის საქმეს“.

ოზაანის სკოლის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. 17 სექტემბერს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტოს დირექტორის მოადგილე ლევან მუშკუდიანი და პარლამენტის განათლების და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე გივი მიქანაძე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დედოფლისწყაროს სოფელ ოზაანის სკოლის მშენებლობის სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ. განხორციელებული სამუშაოების შედეგად, სკოლაში საგანმანათლებლო სივრცეების პარალელურად, იფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი და რესურსოთახი, სპორტული ინფრასტრუქტურა და რეკრეაციული სივრცეები. სკოლა აღჭურვილი იქნება ყველა შესაბამისი სასწავლო რესურსით, ინვენტარითა და ტექნიკით. ასევე სრულად იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

120 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის მშენებლობისა და აღჭურვის პროექტის ჯამური ღირებულება დაახლოებით 3 000 000 ლარია.

ილია მარტყოფლიშვილი

24 სექტემბერს „დედოფლისწყაროობა“ აღინიშნება

სპეციალურად ამ დღისთვის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა:

** ბავშვთა გასართობი სივრცე;*

** ჩატარდება სპორტული აქტივობები;*

** მოსიარულე ორკესტრის მსახიობები*

** მოხდება საპატიო დედოფლისწყაროელების გამოვლენა და მედალოსნების დაჯილდოვება.*

** საღამო დასრულდება კონცერტით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ჯგუფი „გუფი ლენდი“.*

სახალხო დღესასწაული დედოფლისწყაროობა 2013 წლიდან ტრადიციულად, ყოველ წელს აღინიშნება.

გელით 17:00 საათიდან!

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი №50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 26 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი/უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ღირებულება კი 150 ლარით განისაზღვრება.

მიკრორაიონში მდებარე კორპუსების ფასადებს რეაბილიტაცია ჩაუტარდება

ქ. დედოფლისწყაროში ჰერეთის ქუჩაზე (ე. წ. მიკრორაიონი) არსებული კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია იწყება. ამის შესახებ დედოფლისწყაროს მერიაში განაცხადეს.

ადგილობრივ მოსახლეობას პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა 18 სექტემბერს წარუდგინა და რეაბილიტაციის დეტალებზე ისაუბრა. მერის განმარტებით, ფასადების რეაბილიტაცია უახლოეს დღეებში დაიწყება და მომავალი წლის ზაფხულში დასრულდება.

ინფრასტრუქტურული სამუშაოების ღირებულება 2 533 000 ლარია და მას რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია განახორციელებს.

„მიკრო-რაიონის ახალი სიცოცხლე იწყება, მოხდება ექვსივე კორპუსის ფასადის სრული რეაბილიტაცია“ – აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

დაგეგმილ სამუშაოებს დადებითად აფასებენ მიკრორაიონის მაცხოვრებლები და პროცესის დაწყებას მოუთმენლად ელიან.

„უკვე სამი წელია ქალაქ დედოფლისწყაროში არსებული მრავალბინიანი კორპუსების უმრავლესობა გარემონტდა, კარ-ფანჯარა გამოიცვალა და ფასადები და მოაჯირები შეკეთდა. ქალაქში საერთოდ აღარ არის ცუდი იერსახის კორპუსები. სხვა მაღალსართულიანი კორპუსები 2012 წელსაც შეიღება და შემდეგაც რამდენჯერმე, მაგრამ მიკრორაიონის კორპუსები არასოდეს შეღებილა და მხოლოდ ჩვენი დასახლება იყო მიუხედავი. მართალია ეზოს კეთილმოწყობა და შიდა გზები კარგია, მაგრამ ფასადები ძალიან ცუდი სანახავია. ამჯერად მერი გვესტუმრა თანამშრომლებთან ერთად, მოგვიტანეს საპრეზენტაციო ნახაზები და მოსახლეობას დაწვრილებით გააცნეს, რა იგეგმება ამ დასახლებაში. მისასალმებელია ეს პროექტი, მოხარული ვართ, რომ ჩვენი კორპუსებიც გალამაზდება და მივიღებთ თანამედროვე ტიპის მიკრორაიონს. ვნახოთ, რეალურად როგორი გამოვა. მოუთმენლად ველოდებით,“ – აღნიშნავენ მაცხოვრებლები.

საკადრო ცვლილება ქვემო ქედის ბაღში

სოფელ ქვემო ქედის საბავშვო ბაღის მენეჯერმა ლილი კობაიძემ თანამდებობა დატოვა. ახალი სასწავლო წლიდან ვაკანტური ადგილი ამავე ბაღის პედაგოგმა ესმა ჩოქურმა დაიკავა. მას იურიდიული განათლება აქვს.

როგორც გაზეთ „შირაქს“ ლილი კობაიძემ განუცხადა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მისი მუშაობა იმდენად ეფექტური ვეღარ არის, როგორც მას სურს. ბოლო ხანს უჭირს გადაადგილებაც, ამდენად თავად მიიღო გადაწყვეტილება გზა ახალგაზრდებს დაუთმოს და მიიჩნევს, რომ ახალი სისხლი უკეთესია.

„კოვიდი რთულად გადავიტანე, თვენახევარი ვიწექი კლინიკაში. ძლივს გადამარჩინეს, მაგრამ ვირუსმა ბევრი გართულება დამიტოვა. ბოლო ხანს მიჭირს გადაადგილება და მოძრაობა. საკუთარ თავს ვერ ვაპატიებ, რომ თათბირებზე დედოფლისწყაროში სიარული ვერ შევძლო, ან რაიმე გამომრჩეს. ვატყობ, ვეღარ ვარ იმდენად ეფექტური, რისი სურვილიც მაქვს და ამიტომ ვარჩიე, რომ ახალგაზრდა კადრი უკეთესად გაუძღვება ამ საქმეს. ცენტრის დირექტორს ვთხოვე ჩემი განცხადება დაეკმაყოფილებინა,“ — აღნიშნავს კობაიძე.

სკოლამდელი სააღმზრელო ცენტრის დირექტორმა ირმა ჯანაშვილმა ღვაწლმოსილ ხელმძღვანელს მრავალწლიანი ნაყოფიერი მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა. მანვე თანამშრომლებს ახალი მენეჯერი წარუდგინა.

„ახალი სასწავლო წლის პირველი დღე ქვემო ქედის ბაგა-ბაღში სასიხარულო, მაგრამ სევდიანი გამოვიდა. აღსაზრდელებთან შეხვედრის სიხარულს ბაღის მენეჯერის ცვლილების სევდა ახლდა თან. ღიმილიანი, თბილი, ყველასთვის საყვარელი და თავისი საქმის პროფესიონალი – ქალბატონი ლილი მომავალ თაობის აღზრდას 47 წელი ემსახურა, საიდანაც ბოლო 17 წელი მენეჯერის თანამდებობას იკავებდა. მადლობა მას გაწეული შრომისათვის, მომავალი თაობის აღზრდაში შეტანილი თავდაუზოგავი და უანგარო ღვაწლისათვის“ - ამბობენ სააღმზრდელო ცენტრში.

16 სექტემბრიდან კობაიძე ამავე საბავშვო ბაღში სპეცმასწავლებლის პოზიციაზე აგრძელებს მუშაობას. ის 2012 წელს პრეზიდენტის მიერ ღირსების ორდენითაა დაჯილდოვებული.

„სამი სპეციალური საჭიროების მქონე აღსაზრდელი ჰყავს ქვემო ქედის საბავშვო ბაღს. მათ ჯანმრთელობის პრობლემები არ აქვთ. ეთნიკურად ქართველები არიან, თუმცა, საზღვრებს გარეთ დაიბადნენ. მშობლიურ ქვემო ქედში საცხოვრებლად ახლახან დაბრუნდნენ ჩეხეთიდან და პოლონეთიდან, ქართულ ენას არ ფლობენ, ამიტომაც მათ განსხვავებული სასწავლო პროგრამა ესაჭიროებათ. სწორედ მათი აღზრდა დამევალა როგორც სპეციალურ მასწავლებელსა და ფსიქოლოგს.“ - აღნიშნავს ყოფილი ხელმძღვანელი.

ქვემო ქედის საბავშვო ბაღის ახალი მენეჯერი ამავე საბავშვო ბაღის მასწავლებლად ბოლო ორი წლის განმავლობაში მუშაობდა. ქვემო ქედის საბავშვო ბაღი ამჟამად ორ ჯგუფად მუშაობს და 20 აღსაზრდელს ემსახურება. **შირაქი**

დედოფლისწყაროს „სადილი“ ჩინეთსა და ლატვიაში გამოიფინა

დედოფლისწყაროს მზა კერძების მწარმოებელი კომპანია „სადილის“ პროდუქცია გასულ კვირას ჩინეთისა და ლატვიის მომხმარებელსაც გააცნეს. „სადილის“ ნაწარმი ქალაქ შენჟენსა და რიგაში გამართულ საერთაშორისო გამოფენებზე იყო წარმოდგენილი. ჩინეთში ქართული ნაციონალური ნაწარმის პავილიონი პირველად მოეწყო.

დედოფლისწყაროში მოქმედ შპს „ჯეონატურალსის“ საწარმოს გიგანტურ საერთაშორისო ბაზრებზე გასასვლელად სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემავალი სოფლის განვითარების სააგენტო დაეხმარა. სწორედ მათი ორგანიზებით მოეწყო ქართული ნაწარმის წარდგენა ამ ორ ქვეყანაში. როგორც გაზეთ „შირაქს“ სოფლის განვითარების სააგენტოში ეუბნებიან, წელს გამოფენაში „SIALSHENZHEN“ მონაწილეობა მიიღო 15,000-ზე მეტმა კომპანიამ 45-მდე ქვეყნიდან. წარმოდგენილი იყო 25-მდე საერთაშორისო პავილიონი. გამოფენას 70-ზე მეტი ქვეყნიდან 67,000-ზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა. საქართველოდან კი გამოფენაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი ქართული პროდუქცია: თხილი, კაკალი, ღვინო, წყალი და საკონსერვო ნაწარმი.

კომპანია „ჯეონატურალსის“ წარმომადგენლები საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ და მასზე დიდ იმედს ამყარებენ. მათი განმარტებით, საერთაშორისო ბაზრებზე მოსახვედრად და ახალი კავშირების დასამყარებლად ეს ფორმატი ძალზე მნიშვნელოვანია.

ამირან კალანდია *(„სადილის“ მარკეტინგის მენეჯერი):* „ამერიკაში, დუბაიში, აზერბაიჯანში, ახლა კი ჩინეთსა და რიგაში გვქონდა ამგვარი გამოფენები. სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით და თანადაფინანსებით ხშირად ვმონაწილეობთ ასეთ საერთაშორისო გამოფენებში. ეს საუკეთესო შესაძლებლობაა საიმისოდ, რომ პოტენციურ კლიენტებთან კონტაქტი დავამყაროთ, საკუთარი პროდუქცია გავაცნოთ და მათი მოსაზრება მოვისმინოთ. გავეცნოთ ამა თუ იმ ქვეყნის ბაზრების სპეციფიკას და ინფორმაცია კონკრეტულად საქმეში ჩართული პირებისგან მივიღოთ. ამჯერად ჩინეთში ბრინჯიანი საკვების გარდა ჩვენ მიერ წარმოებული სხვა ყველა ქართული პროდუქტი გავიტანეთ. ინტერესი ცხადია დიდი იყო, რადგან ეს ყველაფერი მათთვის ძალიან უცხო და საინტერესო აღმოჩნდა. ვერ გამოვყოფ - საცივი, ხარჩო, ლობიო კახურად, ყველაფერი მოეწონათ და იმედი გვაქვს, ჩინურ ბაზარზეც მალე გავალთ. ამჟამად აზერბაიჯანის ბაზარზე ვართ წარმოდგენილნი. ეს შედეგიც სწორედ ბაქოში გამართული გამოფენის შედეგად მივიღეთ. ორჯერ ვიმყოფებოდით აზერბაიჯანში და იქ გაცნობილ ადამიანებთან თანამშრომლობის შედეგად მოხერხდა ორ სავაჭრო ქსელში შეგვეტანა „სადილის“ პროდუქცია. კმაყოფილი ვართ იქაური გაყიდვების მაჩვენებლით და ველოდებით, რომ სულ მალე კიდევ ერთი შესყიდვა განხორციელდება აზერბაიჯანის მხრიდან. დანარჩენ ქვეყნებთანაც თითქმის ყველასთან გვაქვს მოლაპარაკებები. ეს არ არის მარტივი პროცესი, ამიტომ შედეგის მისაღწევად ხანგრძლივი მუშაობაა საჭირო. ამას გარდა, ვმონაწილეობთ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებშიც და კონკურენტულ გარემოში ვცდილობთ ადგილობრივ შესყიდვებში სახელმწიფოს მოთხოვნებსაც ვუპასუხოთ. ამ ეტაპზე ჩვენი პროდუქციით მარაგდება სასაზღვრო პოლიცია. დედოფლისწყაროში მოქმედ ჩვენს საწარმოში სულ 40 ადამიანია დასაქმებული, საიდანაც 30-ზე მეტი ადგილობრივი მკვიდრია. ასე რომ, ჩვენ დასაქმებასაც ვუწყობთ ხელს.“

ილია მარტყოფლიშვილი

რძის საწარმო „ლეანკას“ ახალი დანადგარები გადაეცა

პროექტთან „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში" (USDA Food for Progress SQIL) პარტნიორობის ფარგლებში რძის პროდუქტების მწარმოებელმა კომპანია „ლეანკამ“ წარმოების შესაძლებლობები გააუმჯობესა და მიიღო სულგუნის შესაბოლი დანადგარი.

დედოფლისწყაროს რძის პროდუქტების კომპანიამ უკვე დაიწყო საკუთარი შებოლილი სულგუნის წარმოება და პროდუქტი სარეალიზაციოდ შეიტანა სუპერმარკეტების საცალო ქსელში „ფრესკო“.

რძის საწარმოს ხელმძღვანელი **ქეთევან ჩალახეშაშვილი** პროექტით კმაყოფილია და გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას იმ უპირატესობებს განმარტავს, რასაც ახლადმიღებული ტექნიკა მისი მუშაობის გასაუმჯობესებლად შეცვლის. მისი თქმით, ახალი დანადგარების დასამონტაჟებლად საწარმოში სამუშაო სივრცის გაფართოვება მოხდა.

„დონორის მიერ გადმოცემული სულგუნის შესაბოლი დანადგარის გამოყენების შედეგად შევძელით გაგვეზარდა წარმოებული პროდუქციის მოცულობა, რომელიც დიდი წარმატებით იყიდება „ფრესკოს“ ქსელში. შედეგები შთამბეჭდავია: უკვე სამჯერ გავმართეთ გაყიდვების აქცია და 10-ტონამდე შებოლილი სულგუნი გავყიდეთ, მოთხოვნა კი კვლავ მაღალია. მანამდე ეს შესაძლებლობები არ გვქონდა და ჩვენს მიერ წარმოებულ სულგუნს კუსტარული წესით ვბოლავდით ხოლმე. ახლა კი უფრო ხარისხიანად ვიმუშავებთ და წესების დაცვით, დანადგარში შებოლვის დროს დაბინძურების რისკიც არ იქნება. ამ პროექტის შესახებ მანამდეც მსმენია და ადრეც ვმონაწილეობდი. ახლაც წარვადგინე პროექტი, მოთხოვნა მქონდა იმაზე, თუ რა დანადგარები მჭირდებოდა საწარმოს განვითარებისთვის. შესაბოლი დანადგარის გარდა ასევე შემიძინეს ნადულის სახარში დანადგარიც, რომელიც ხმაურისა და კონდენსატის გარეშე მუშაობს. ამას გარდა, ვზოგავ ბუნებრივ გაზს და წარმოების პროცესში კომუნალური ხარჯები შემიმცირდა. ახალი დანადგარების განთავსებისთვის შენობის გაფართოვება დამჭირდა და ამისათვის სამუშაო სივრცე გავზარდეთ,“ – აღნიშნავს შპს „ლეანკას“ დირექტორი ქეთევან ჩალახეშაშვილი.

შპს „ლეანკა“ დედოფლისწყაროში მდებარეობს და 2016 წლიდან სხვადასხვა რძის პროდუქტს, მათ შორის, სულგუნს, იმერულ ყველსა და არაჟანს აწარმოებს. ქარხანაში 15 ადგილობრივია დასაქმებული და 120 ფერმასთან თანამშრომლობს. **შირაქი**

„მასწავლებლობა იწყება ბავშვების უპირობო სიყვარულით“

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ორგანიზებით 2024 წელს მასწავლებლის ეროვნული პრემიის გადაცემის ცერემონია 13 სექტემბერს გაიმართა. ჩვენი დღევანდელი ინტერვიუს სტუმარი, სწორედ ამ კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული, დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ინგლისურის პედაგოგი ეკა სეფიაშვილია. ჩვენი საზოგადოება მას კარგად იცნობს, როგორც მუდამ ინოვაციურ, მოტივირებულ, მოსწავლეების ინტერესებზე და საჭიროებებზე ორიენტირებულ პედაგოგს... თუ როგორ მოხდა მისი ამ ჯილდოზე წარდგენა, რა განცდებთან, ემოციებთან, შეგრძნებებთანაა დაკავშირებული ამ კონკურსში მონაწილეობა, რამდენად რთულია იყო ყველასთვის კარგი მასწავლებელი - ამ და სხვა თემებზე ეკა სეფიაშვილი გაზეთ „შირაქს“ ესაუბრა.

– მოგვიყევით თქვენს შესახებ. ვინ არის ეკა სეფიაშვილი? გაეცანით ჩვენს მკითხველს.

ჩემი 24 წლიანი პედაგოგიური პრაქტიკა მუდმივი გამოწვევებითაა სავსე. 2000 წელს, პროფესიაში ახლადშესული, გამოუცდელი, ახალგაზრდა პედაგოგისთვის არანაირი ხელშემწყობი და მასწავლებლის მზაობის გასამყარებელი მექანიზმი არ არსებობდა, ამიტომ, თავდაუზოგავი შრომისა და თვითგანვითარების შედეგად გავიკვლიე პროფესიული გზა. მიზნად დავისახე თანამშრომლობითი კულტურის დანერგვა სკოლაში, მოსწავლეების აკადემიური შედეგების გაუმჯობესება, მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული სასკოლო თუ სათემო ჩართულობების ინიცირება და მხარდაჭერა, წამახალისებელი ჯილდოებით მათი გამოწვევა და საგნისადმი ინტერესის გაღვივება. ვაორგანიზებდი კოლეგებთან ერთად ინტეგრირებულ აქტივობებს, მულტიკულტურულ, გარემოსდაცვით და უამრავ სასკოლო თუ სოციალურ პროექტს. ბავშვები ესწრებოდნენ სხვადასხვა სეგმენტის წარმომადგენლებთან ინტერვიუებს, კონფერენციებს. ვქმნიდი და შემდეგ კოლეგებს ვუზიარებდი მატერიალურ თუ ციფრულ რესურსებს, მოსწავლეებთან ერთად ვაწყობდი თემატურ ვიდეოკოლაჟებს, კეთებით სწავლების მოდელებით ვახერხებდი მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. ნაბიჯ-ნაბიჯ, თაობებში მივაღწიე შემოქმედებითი და შემეცნებითი უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. იმ პერიოდის ჩემი მოსწავლეებიდან, დღეს უკვე მენტორი, ინგლისურის ენის წამყვანი და უფროსი პედაგოგები მყავს გამოზრდილი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. მოსწავლეებისთვის მამოტივირებელმა სასწავლო გარემოს შექმნამ, აკადემიურმა მიღწევებმა, კონკურსებისა და პროექტების ინიცირებამ, საგანმანათლებლო სივრცეში საგაზეთო სტატიების ავტორობამ ადგილობრივ, ეროვნულ თუ საერთაშორისო ასპარეზზე უწყვეტმა წარმატებებმა, ფასილიტაციამ კოლეგებთან, თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებამ მთლიანად სასკოლო საზოგადოებასთან, თემში, რეგიონში, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ მადლიერი ადამიანების მხარდაჭერა მომიტანა, რაც მიასმაგებს ჩემი საყვარელი საქმის სხვადასხვა რაკურსით გაგრძელების სურვილს და ბიძგს მაძლევს ახალ გამოწვევებთან გასამკლავებლად.

- რატომ აირჩიეთ პედაგოგის პროფესია?

ბავშვობიდან „მასწავლებლობანას“ თამაში ძალიან მიყვარდა. ვაწარმოებდი აღრიცხვის ჟურნალს, შეფასებებს და ჩემს წარმოსახვაში ყველა მოსწავლე სანიმუშო მყავდა, თუმცა, იმ პერიოდში, მოგეხსენებათ, მშობლები შვილის პროფესიულ არჩევანში გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ და მოდას აყოლილი საზოგადოებისთვის შვილი - ექიმი პრესტიჟულად ითვლებოდა. ეპოქალურმა ტრენდმა გარკვეულწილად ჩემზეც იმოქმედა, მაგრამ მე-11 კლასში მყარად გადავწყვიტე მომავალი პროფესია და მადლიერი ვარ, ჩემი არჩევანით, მეც და ჩემი მშობლებიც.

- თქვენი აზრით, რას ნიშნავს იყო კარგი პედაგოგი?

პედაგოგის პროფესია არაა მხოლოდ საგნობრივი ცოდნის გადაცემა. მოსწავლის შინაგან სამყაროს, მის ფსიქოემოციურ განწყობას, ოჯახურ მდგომარეობას, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს, სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას ვაკვირდებით, ვსწავლობთ და ფაქიზად ვძერწავთ მათ. ხარისხიანი განათლებითა და მაღალზნეობრივი ღირებულებებით შემკულ ახალგაზრდებს ვუზრდით ჩვენს ქვეყანას.

– როგორ აღმოჩნდით მასწავლებლის ეროვნული პრემიისთვის წარდგენილ მასწავლებელთა შორის?

დაჯილდოების ცერემონია

მასწავლებლის ეროვნულ პრემიაზე სასკოლო საზოგადოებამ წარმადგინა. პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ჩემი კანდიდატურა კათედრის ერთ-ერთმა წევრმა დაასახელა, რასაც მთლიანი სასკოლო საზოგადოების სრული მხარდაჭერა მოჰყვა. ჩემთვის ნებისმიერი კონკურსი ახალი გამოწვევაა. როდესაც თავს ვუყრი ჩემს ნამუშევარს, ვაანალიზებ მიღწევებს და გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, კიდევ ვიზრდები და ჩემზე ეს პროცესი ძალიან ეფექტურად ისახება.

- გილოცავთ საუკეთესო ათეულში მოხვედრას და მასწავლებლის ეროვნული პრემიის მოპოვებას. ამის შემდეგ, იცვლება თუ არა თქვენი, როგორც მასწავლებლის მიდგომები და მიზნები? რას ნიშნავს თქვენთვის ეს ჯილდო? რა ღირებულებების მატარებელია ის თქვენთვის?

ეს ჯილდო ჩემთვის ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ნიშნავს არამარტო სკოლისა და რაიონის, არამედ ქვეყნის წინაშე. ჩემი მუშაობა, რა თქმა უნდა, იგივე მიდგომებით და გრძელვადიანი, გაზომვადი მიზნებით წარიმართება.

განათლებული, გლობალური მოქალაქეების ჩამოყალიბების პროცესს ჩემი კოლეგებისა და მოსწავლეთა მშობლების ჩართულობით განვაგრძობ და ამჯერად უკვე, ახლადშეძენილ კოლეგებთან კოლაბორაცია ბევრ სასიკეთო ცვლილებას მოუტანს ახალგაზრდებს.

- პროფესიული თვალასაზრისით, გაქვთ თუ არა ისეთი ოცნება ან მიზანი, რომლის რეალიზებაც ჯერ ვერ მოახერხეთ და მომავალში გსურთ რომ განახორციელოთ?

დიახ. ბრიტანეთში ან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაცვლითი საგანმანათლებლო პროექტით მსურს პროფესიული გადამზადება. სიახლეები პედაგოგიკაში, კულტურული მრავალფეროვნების გაცნობა და მიმღებლობა, სწავლა-სწავლების მექანიზმის მოდიფიცირება ყველა პედაგოგის ამბიციაა.

-თქვენი აზრით, რამდენად დაფასებულია დღეს მასწავლებლის პროფესია და რას ურჩევდით თქვენს მოსწავლეებს, რომლებსაც სამომავლოდ ეს პროფესია აქვთ არჩეული?

ბატონ გიორგი ამილახვარის ეს ინიციატივა თავისთავად მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას უწყობს ხელს და მჯერა, რომ ბევრი ახალგაზრდა დაინტერესდება ამ პროფესიით.

მასწავლებლის ღვაწლის აღიარება და დაფასება დიდი გამოწვევაა ახალბედა მასწავლებლებისთვის და ახალგაზრდებისთვის. მასწავლებლობა იწყება ბავშვების უპირობო სიყვარულით, საგნის, შრომის სიყვარულით. მასწავლებელი მუდმივად ღია უნდა იყოს თანამშრომლობისთვის. გიყვარდეთ და ეყვარებით. სიყვარული კი მძლავრი იარაღია ნდობისთვის, ხათრისა და რიდისთვის. ეს ყველაფერი კი ქმნის სრულყოფილებას. მოსწავლის კეთილდღეობა და სწავლისადმი ინტერესის გაღვივებაა მასწავლებლობა. აი, ამას ვურჩევდი ამ პროფესიის მსურველებს.

-ხელახლა რომ ირჩევდეთ პროფესიას, იმავე საქმიანობას აირჩევდით თუ არა და გაივლიდით თუ არა იგივე გზას, რამაც აქამდე მოგიყვანათ?

მე პროფესიული გზა სრულიად მარტომ დავიწყე. რაღაც პერიოდი დინებას მივყვებოდი და არაფერი იცვლებოდა. შემდეგ გავიაზრე ჩემი შესაძლებლობები, დინებას გვერდი ავუარე და მივყევი შესაძლებლობებს. ძალიან ბევრი ვიშრომე, პროფესიული განვითარებისთვის გონებრივი, ფიზიკური თუ მატერიალური რესურსები არ დამიზოგია. ეს გზა ჩემი არჩევანია.

შეგახსენებთ, რომ მასწავლებლის ეროვნული პრემია განათლების სისტემის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ღვაწლმოსილ მასწავლებლებს 2023 წლიდან გადაეცემა. გაზეთი „შირაქი“ კიდევ ერთხელ ულოცავს ქალბატონ ეკას, უსურვებს წარმატებას, წინსვლას და კეთილდღეობას, რათა ასეთივე შემართებით, ენთუზიაზმითა და ენერგიით აღზარდოს მომავალი თაობა. თაობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და წარმატების გარანტი გახდება.

ესაუბრა
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

„მასწავლებლის ეროვნული პრემია 2024“ ჩატარდა

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრში მასწავლებლის ეროვნული პრემიის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გიორგი ამილახვარმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს, პრემიის ფინალისტ პედაგოგებს მიღწეული წარმატება მიულოცეს და მასწავლებლის პროფესიის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

საზოგადოებისა და განათლების სისტემის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემია და ფულადი პრიზი 10 ღვაწლმოსილ პედაგოგს გადაეცა. ესენი არიან:

****გორის მე-8 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ვერა სომხიშვილი;***

****თბილისის 28-ე საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელი, თამარ ადამია;***

****ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი, ივანე გოქაძე;***

****დედოფლისწყაროს პირველი სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი, ეკა სეფიაშვილი;***

****ხელვაჩაურის სოფელ ახალსოფლის სკოლის სპორტის მასწავლებელი, ნანი კირკიტაძე;***

****გორის მე-5 საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი, ნანა წიწუაშვილი;***

****სენაკის პირველი სკოლის ხელოვნების მასწავლებელი, მამუკა კუჭავა;***

****თელავის მე-4 საჯარო სკოლის ბიოლოგიისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი, ეკატერინე გურგენაშვილი;***

****ბათუმის მეორე სკოლის დაწყებითი კლასების და გეოგრაფიის მასწავლებელი, ანა ანუშიძე;***

****ახალციხის მეორე საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელი, ზურაბ ინასარიძე.***

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის ეროვნული პრემიის ფარგლებში განაცხადების მიღება 2024 წლის აპრილში დაიწყო და ივლისში დასრულდა. კონკურსში მთელი საქართველოს მასშტაბით ჯამში 2000-ზე მეტი პედაგოგი იღებდა მონაწილეობას.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, შეირჩა მასწავლებლები, რომლებსაც სხვადასხვა მიმართულებით განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი მოსწავლეების, სასკოლო საზოგადოებისა, თუ თემის განვითარებაში. ამის შემდგომ 10 გამარჯვებული გამოავლინა სპეციალურმა კომისიამ, რომელიც დაკომპლექტებული იყო სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანებით.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 2023 წელს მასწავლებლის ეროვნული პრემია დაწესდა. შესაბამისად, ყოველწლიურად, საზოგადოებისა და განათლების სისტემის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ღვაწლმოსილ პედაგოგებს გადაეცემა მასწავლებლის ეროვნული პრემია - სპეციალურად შექმნილი სამკერდე ნიშანი და ფულადი ჯილდო 10 000 ლარის ოდენობით.

* * *

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გასულ კვირას, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან მასწავლებლის ეროვნულ პრემიაზე წარდგენილ პედაგოგებს შეხვდა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მასწავლებლებს გაწეული შრომისათვის მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე სამი პედაგოგი გახლდათ ნომინირებული- ქ.დედოფლისწყაროს N 1 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი ეკა სეფიაშვილი (რომელიც მოხვდა საუკეთესო ათ მასწავლებელს შორის და მიიღო მასწავლებლის ეროვნული პრემია), ქ. დედოფლისწყაროს N 2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგი ნონა ტოკლიკიშვილი და სოფელ არხილოსკალოს ინგლისური ენის პედაგოგი სოფიო კობაიძე.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ორგანიზებით 2024 წელს მასწავლებლის ეროვნული პრემიის გადაცემის ცერემონია 13 სექტემბერს გაიმართა.

Edison Research-მა არჩევნებთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა

Edison Research-ის მიერ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების თანხმად, კითხვაზე, დღეს რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას, გამოკითხულთა 32,3%-მა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ მისცა ხმა, 20% არჩევნებზე „ერთიანობა- ნაციონალურ მოძრაობას“ დაუჭერდა მხარს, 10,9% - კოალიციას „ცვლილებებისთვის“, 10,5 % „გახარია- საქართველოსთვის“ მხარდამჭერი იქნებოდა, ხმათა 9,3% „ძლიერმა საქართველომ“ მიიღო, „გირჩმა“ ხმათა 6% მოიპოვა, 5,1% კი თავის ხმას ლეიბორისტულ პარტიას მისცემდა.

ცნობისთვის, Edison Research-მა საზოგადოებრივი აზრის კვლევა ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთითა და დაფინანსებით ჩაატარა. გამოკითხვა ჩატარდა 1.09-15.09 პერიოდში მთელი საქართველოს მასშტაბით ოკუპირებული ტერიტორიების გარდა. პირისპირ კვლევის მეთოდით გამოიკითხა არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე საქართველოს 1200 მოქალაქე. ცდომილების ზღვარი +/- 2.8%, 95% იანი სანდოობის ზღვრისთვის.

ცესკო პოლიტიკურ პარტიებს პარლამენტის არჩევნებისთვის პარტიული სიის ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობას აძლევს

ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) პოლიტიკურ პარტიებს პარლამენტის არჩევნებისთვის პარტიული სიის ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობას აძლევს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობით, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით პარტიული სიების წარდგენისა და რეგისტრაციის წესთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა ცესკოში გაიმართა. შეხვედრას იმ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები დაესწრნენ, რომლებმაც, ცესკოს შეთავაზების პასუხად, პარტიული სიებისა და თანდართული დოკუმენტაციის ელექტრონულად წარდგენის გადაწყვეტილება მიიღეს. შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს ელექტრონული პლატფორმის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები.

„ცესკოს დადგენილებაში ცვლილება, რომლის თანახმადაც პარტიებს საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 წლის ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრაციის მიზნით, პარტიული სიის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით წარდგენა შეუძლიათ, ძალაში 10 სექტემბერს შევიდა. რის შემდეგაც ცესკომ არჩევნებისთვის რეგისტრირებულ პარტიებს შესთავაზა, ესარგებლათ სიების წარდგენის ელექტრონული წესით. აღნიშნული წესით პარტიული სიის წარდგენის გადაწყვეტილება ექვსმა პარტიამ მიიღო.

შეგახსენებთ, რომ 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებულმა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა პარტიული სიები 26 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარადგინონ“,- აღნიშნულია ინფორმაციაში.

სტალაქტიტებითა და სტალაგმიტებით დაფარული მღვიმე კახეთში

კარსტული წარმოშობის მღვიმე მდებარეობს ვეჯინისა და ძირკოკის გამყოფი ვიწრო ხეობის, მარჯვენა შემაღლებულ ნაპირზე. მღვიმის კედლები დაფარულია სტალაქტიკებით და სტალაგმიტებით.

ისტორიკოსის თამაზ მარკოზაშვილის ინფორმაციით, 2007 წლის გაზაფხულზე, ხევში მოვარდნილმა წყალმა ჩამოშალა ხევის მარჯვენა ფერდობის ნაწილი და გამოჩნდა მღვიმეში შესასვლელი.

„სოფელ ძირკოკის მკვიდრმა, ალიკა არჯევნიშვილმა გამიწია მეგზურობა და რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ მივადექით მღვიმეს. ჩემი მეგზურის მონათხრობით, ამ ადგილს „იორდანეს“ წყაროს ეძახის ხალხი. მღვიმიდან ნაჟური წყლები, გარეთ გამოედინებოდა და ხალხი სასმელად იყენებდა, თუმცა, ვერავინ იფიქრებდა თუ აქ მღვიმე აღმოჩნდებოდა“.

მარკოზაშვილისვე თქმით, მღვიმეში მიწის პირზე პატარა ბუნებრივი აუზია, სადაც გროვდება კედლებიდან ნაჟური წყლები, რომელიც ყინულივით ცივია და სასმელად ვარგისი.

„მღვიმის სწორკუთხა შესასვლელი, დიდი ბრტყელი ქვით თარაზულად არის გადახურული და აშკარაა რომ გვიანდელია და ადამიანის ხელი ატყვია. მღვიმე გრძელდება 10 მეტრის სიგრძეზე და შემდეგ ჩამოშლილია. აღნიშნული მღვიმიდან დაახლოებით 50 მეტრის დაშორებით მდებარეობს ვეჯინის „წყლის“ კოშკი, რომელიც ვეჯინის ციხის მცველებს სასმელი წყლით ამარაგებდა. დიდი ალბათობით, მღვიმე უკავშირდებოდა ვეჯინის „წყლის“ კოშკს და სასმელი წყლით ამარაგებდა“.

ამ დრომდე არ მომხდარა ვეჯინის მღვიმის მეცნიერული გამოკვლევა.

მამუკა მდინარაძე: «ახლა ხაზარაძე დაეთანხმება გახარიას ასეთ პრინციპულ მოთხოვნებს და ყველანი დავიჯერებთ, რომ ისინი ნაცებთან კავშირს გაწყვეტენ?!»

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, მამუკა მდინარაძე, გიორგი გახარიას მიერ მამუკა ხაზარაძესთან ჩაშლილ მოლაპარაკებებსა და გაერთიანების მზაობაზე გაკეთებულ განცხადებას, სოციალურ ქსელში ეხმიანება.

როგორც მდინარაძე აღნიშნავს, ახლა ხაზარაძე დაეთანხმება გახარიას „პრინციპულ“ მოთხოვნებს და შემდეგ ყველანი დავიჯერებთ, რომ ისინი „ნაცმოძრაობასთან“ კავშირს გაწყვეტენ და კოალიციას არ შექმნიან.

გარდა ამისა, მანვე, ყურადღება გამახვილა გივი თარგამაძის აფეთქებაში მსჯავრდადებულ დარჩო ხეჩუაშვილის დაკავებაზე და აღნიშნა, რომ მისი დაკავების შემდეგ, რადიკალები „შავ დღეში არიან“.

„ახლა ხაზარაძე დაეთანხმება გახარიას ასეთ „მტკიცე“ და „პრინციპულ“ მოთხოვნას და ყველანი დავიჯერებთ, რომ ისინი „ნაცებთან“ კავშირს გაწყვეტენ და მათი კოალიციაც გამორიცხულია?!

ბოლოს მართლა ჩაშლა მოუწევთ მგონი, აგენტურა იმდენად გოიმურ პიარს გვთავაზობს.

ამფეთქებელიც დაუჭირეს, შავ დღეში არიან,“ - წერს მამუკა მდინარაძე.

„გახარია - საქართველოსთვის“ ლიდერმა, გიორგი გახარიამ, მამუკა ხაზარაძესთან მოლაპარაკებების ჩაშლის მიზეზებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისი პარტია კვლავ მზად არის ხაზარაძის კოალიცია „ძლიერ საქართველოსთან“ გაერთიანებისთვის, თუმცა, ამისთვის რამდენიმე მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

„საჯაროდ ვაცხადებთ ჩვენს მზაობას შემდეგი პრინციპებით: პირველი - ნეიტრალური პლატფორმა და ვთვლით, რომ ეს არის სამართლიანი და უსაფრთხო ყველასთვის; მეორე - გადაწყვეტილების მიღების სამართლიანი, პარიტეტული პრინციპი; მესამე - კოალიციის დაუშვებლობის პრინციპი როგორც „ქართულ ოცნებასთან“, ისე „ნაციონალურ მოძრაობასთან“, - განაცხადა გიორგი გახარიამ.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს ავტორიზაცია მიენიჭა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს 6 წლიანი ავტორიზაცია მიენიჭა.

გადაწყვეტილება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭომ, უცხოელი და ქართველი მაღალკვალიფიციური ექსპერტების შეფასების საფუძველზე მიიღო.

,,თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამარჯვებების თითქმის საუკუნოვანი ისტორია აქვს და ერთგულად ემსახურება ახალგაზრდობის განათლების საპასუხისმგებლო საქმეს. ვუღოცავთ წარმატებას უნივერსიტეტის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს, რომლებიც საკუთარი საქმის სიყვარულით, თავდაუზოგავად შრომობენ”.

დასუფთავების მსოფლიო დღე

20 სექტემბერი დასუფთავების მსოფლიო დღეა! აღნიშნული კამპანიის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში დასუფთავების აქცია გაიმართა.

„საყოფაცხოვრებო და სხვა სახის მყარი ნარჩენებისგან დასუფთავდა სკოლის ეზო და მიმდინარე ტერიტორია, სადაც მონაწილეობა მიიღეს მე-7 - 10 კლასის მოსწავლეებმა! დასუფთავების საერთაშორისო დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს მსოფლიო მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებას! აქცია განხორციელდა მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სამოქალაქო კლუბის ინიციატივით!, “ ამბობენ ხორნაბუჯის სკოლაში.

საწარმო განმარტებებს აკეთებს

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს, რომელიც გაზეთ „შირაქის“ 14-21 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა, ქალაქ დედოფლისწყაროში, ლეონიძის 12-სა და ჰერეთის 30-ში მოქმედი საწარმო ეხმაურება. მათი განმარტებით, მათთან ხორცი ჯანმრთელობის ნიშანდების გარეშე არ იყო სარეალიზაციოდ გატანილი, როგორც ეს ინფორმაციაშია მითითებული. უბრალოდ, გასული იყო შენახვის 48 საათიანი ვადა, რის გამოც ოქმი შედგა. მათივე მტკიცებით, საწარმომ სრულად გაითვალისწინა სურსათის უვნებლობის სპეციალისტების მიერ ინსპექტირებისას გაცემული რეკომენდაციები და მათ მიერ მითითებული წესების დაცვით მოქმედებენ. ამდენად, მათ საწარმოში ამ ეტაპზე სხვა სახის ხარვეზები არ არის და ნორმების დაცვით ფუნქციონირებენ.

„ცხოვრება ასეთია – ტკივილითა და სიხარულით სავსე“

ქეთევან ქიმოსტელი ზემო ქედში დაიბადა და გაიზარდა. აქვე შექმნა ოჯახი და ცხოვრება ცნობილ სპორტსმენს, უშანგი ჩოხელს დაუკავშირა. ათეული წლების მანძილზე ზრუნავდა სოფლის კულტურული ცხოვრების აღორძინებაზე. არ შეუშინდა 90-იანი წლების ქარტეხილებს და კულტურის სახლის დაცვა და შენარჩუნება მხედრიონელთა თარეშის დროსაც შეძლო.

ღირსების მედლის კავალერი **ქეთევან ქიმოსტელი** 80 წლისაა. გაზეთი „შირაქი“ ულოცავს ღვაწლმოსილ ქალბატონს იუბილეს და მასთან ინტერვიუს გთავაზობთ.

ის ზემო ქედში მაშინ დაიბადა, როდესაც ქვემეხები ქუხდნენ - მეორე მსოფლიო ომის დროს, 1943 წელს. მამა ომში, ბრძოლის ველზე დაეცა და სულ რაღაც 2 თვის დაობლდა. მამის ხატება მხოლოდ ფოტოებმა შემოინახა. იზრდებოდა დედასთან, დებთან და ძმასთან ერთად.

მძიმე წლები იყო. ომის შემდეგ ქვეყანა ჭრილობებს იშუშებდა. ყველა შრომობდა, დიდიც და პატარაც. მარტოდ დარჩენილ დედას დახმარება სჭირდებოდა.

ქეთევან ქიმოსტელი შრომის ფერხულში მეოთხე კლასიდან ჩაება. „სკოლიდან პიდაპირ კოლმეურნეობაში მივდიოდი, ვუვლიდი 3000 წიწილას. საქმეს კარგად ვუძღვებოდი და ამიტომ, არსენ კობაიძის მოთხოვნით გადამიყვანეს კვერცხის მდებელი ქათმების მომვლელად. მარტო ვუვლიდი 6000 ფრთას. მაშინ სოციალისტური შეჯიბრებები ტარდებოდა მეფრინველეებს შორის. ჩემი მეტოქე იყო ბოლნისელი ქეთევან კორკოტაშვილი, რომელსაც პირველობა არ დავუთმე და გავიმარჯვე. დამაჯილდოვეს საქართველოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, რომელიც ცეკას პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ გადმომცა. ამ წარმატების შემდეგ ამირჩიეს ცეკას პლენუმის წევრად, ამავე დროს ვიყავი წითელწყაროს რაიონის ბიუროს წევრი.

– პარტიული კარიერის პარალელურად, თქვენ ზემო ქედის კულტურულ ფერხულში აქტიურად იყავით ჩართული...

– ზემო ქედის კულტურის სახლის ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლის წევრი ვიყავი საღამოს საათებიდან, ანუ, დღისით ვმუშაობდით, საღამოს კი ვიკრიბებოდით, რათა სიმღერები დაგვემუშავებინა და მშრომელების განწყობის ამაღლებაზე გვეზრუნა. სოფლის კულტურული ცხოვრება 1972 წლიდან დაიწყო და მეც ამ პროცესების აქტიური მონაწილე ვიყავი. სოფელმა ამისთვის დამაჯილდოვა და ლიმიტი მომცა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ჩავაბარე ზოოვეტ ინსტიტუტში ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე. სამი კურსი დავხურე, შემდეგ დაუსწრებელ ფაკულტეტზე გადავედი, რადგან ოჯახი შევქმენი. ჩემი მეუღლე სპორტსმენი, საქართველოს სამგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში უშანგი ჩოხელი იყო. საოცარი ადამიანი, კარგი მეუღლე და მამა. სამი ვაჟი გვეყოლა. ზურაბი, ზაზა და ვანო. შვილი-ვანო ჩოხელიც სპორტის გზას გაყვა. ის საქართველოს ჩემპიონი იყო ქართულ ჭიდაობაში. სამწუხაროდ, უბედურმა შემთხვევამ ჩვენი ბედნიერი ცხოვრება დაასრულა. ვანო ტრაგიკულად დაიღუპა.

– პირადი ტრაგედიის მიუხედავად, თქვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში კვლავ აქტიურად იყავით ჩართული...

– მანამდე, სანამ კულტურის სამსახურში დავიწყებდი მუშაობას, სამედიცინო ტექნიკური სასწავლებელი დავამთავრე. 12 წელი ვიმუშავე ზემო ქედის 60 საწოლიან საავადმყოფოში უფროს მედდად, მაგრამ შემდეგ, არსენ კობაიძის დაჟინებული თხოვნით, გადამიყვანეს ზემო ქედის კულტურის სახლში. ახალი შენობა 1986 წელს გაიხსნა, მანამდე ძველ შენობაში ვიყავით, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლიდა, ჩვენი წრეების მუშაობა ნაყოფიერი ყოფილიყო. ჩემი მოღვაწეობის პერიოდში სოფლის კულტურის სახლში 15 წრე იყო, მათ შორის დრამატული წრე, სადაც, პირადად მე, 5 პიესა დავდგი. შემდეგ ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლს სათავეში ჩაუდგა ლოტბარი მაყვალა წიკლაური. ჩვენ ანსამბლთან ერთად მოვიარეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც მაშინ პოსტსაბჭოთა სივრცის ნაწილს წარმოადგენდნენ: ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, რუმინეთი, ყველგან წარმატებული გამოსვლა გვქონდა და ლაურიატის წოდებით ვბრუნდებოდით შინ. ჩვენს მიერ დადგმული სპექტაკლებიც გაგვქონდა რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე და საპატიო ადგილებს ვიკავებდით. ზემო ქედის კულტურის სახლის წრეების წარმატების შესახებ ყველა ლაპარაკობდა რესპუბლიკურ თუ საკავშირო დონეზე. მე პირადად მიღებული მაქვს კულტურის მუშაკის ლაურეატის წოდება, რითიც დღემდე ვამაყობ. კულტურის სახლის დირექტორად 25 წელი ვიმუშავე.

– საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ როგორ გადაიტანეთ 90-იანი წლების სიმძიმე?

– 90-იან წლებში, მაშინ, როცა უშუქობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ღამის საათებში ვრთავდით ე. წ. „დვიჟოკებს“ (გენერატორებს) და ისე ვმუშაობდით, ვატარებდით ღონისძიებებს. ყველაზე მძიმედ მხედრიონის პერიოდი მახსენდება. კულტურის სახლს დარაჯიც არ ჰყავდა, რადგან შტატი გაუქმდა. რა უნდა მექნა? სირთულის ჟამს ჩემი ოჯახი დამიდგა გვერდით-ჩემი მეუღლე და შვილი ნაბდების ქვეშ ათენებდნენ ღამეებს და ისე დარაჯობდნენ სოფლის კულტურის სახლს. ხშირად ღამის პირველ საათზე ავდიოდი ფარნით ხელში და ვუვლიდი შენობას გარშემო, რათა არაფერი დაზიანებულიყო. ჩვენმა შეუპოვრობამ და საქმისადმი ერთგულებამ შედეგი გამოიღო და კულტურის სახლი უვნებლად გადაურჩა ქაოსისა და განუკითხაობის პერიოდს - არცერთი სკამი თუ ინსტრუმენტი არ დაკარგულა იმ წლებში.



ახალგაზრდობა



ღვაწლი დამიფასდა და საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 20 დეკემბრის განკარგულებით დამაჯილდოვეს ღირსების მედლით.

– 80-წლიანი გადმოსახედიდან, რას იტყოდით დღევანდელ საქართველოზე?

– მომწონს დღევანდელი ხელისუფლება. ის მშვიდობიან ქვეყანაში ცხოვრების გარანტია. ბევრი რამ გაკეთდა ჩვენს სოფელშიც-გაზი შემოიყვანეს, რაც საბჭოთა პერიოდშიც კი არ გვქონია. ახლა ზემო ქედს წყალიც გვაქვს და კარგი გზაც.

სოფლიდან მიგრაცია სერიოზულ პრობლემად რჩება. მინდა, რომ არ ვხედავდე დაკეტილ სახლებს, დედის გარეშე დარჩენილ ბავშვებს. მარტო ფულში არაა ბედნიერება.

– რას იტყვით ახალგაზრდა თაობაზე?

– კარგი და ნიჭიერი თაობა ეზრდება საქართველოს. მართალია, წინა თაობას ახალგაზრდების ყველაფერი არ მოგვწონს, მათ შორის ჩაცმის სტილი. მიმაჩნია, რომ მოსწავლეს მოსწავლეობა უნდა ეტყობოდეს და სწავლაზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა თავის მოვლაზე.

მოსწავლეებს ხშირად ვესაუბრები, არ მომწონს ბევრის ჩაცმულობა. შენიშვნას რომ ვაძლევ, არ ღიზიანდებიან, პირიქით, ბევრ რამეს ითვალისწინებენ-კიდეც. მე მათ სიყვარულით ველაპარაკები და მისმენენ.

– რას ეტყოდით „შირაქის“ მკითხველს?

– მე საკმაოდ რთული და მძიმე ცხოვრება გამოვიარე. ახალგაზრდა შვილის სიკვდილიც ვიგემე და მოხუცებულობაში შვილიშვილისაც-22 წლის ახალგაზრდა უკრაინაში, კერძოდ კი ბახმუტში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებს შეეწირა. მყავს ორი შვილი და 3 შვილიშვილი, ერთი შვილთაშვილი და მეორეს ველოდებით უახლოეს მომავალში. ვთვლი, რომ ცხოვრება ასეთია- ტკივილითა და სიხარულით სავსე. პირადი ტრაგედიების მიუხედავად, არ გავბოროტებულვარ, მოყვასის სიყვარულის უნარი არ დამიკარგავს.

რას ვეტყოდი მკითხველს და მთელ საქართველოს? გავხდეთ მეტად კეთილები, მიმტევებლები და პასუხისმგებლიანები. შრომა გვიყვარდეს და შრომის ყადრი ვასწავლოთ შვილებს ბავშვობიდანვე. ჩვენი საკეთებელი ჩვენ უნდა ვაკეთოთ და მარტო სხვის შემყურე არ უნდა ვიყოთ. ეს გადაარჩენს და გააერთიანებს ჩვენს ქვეყანას.

ესაუბრა
ინგა ჟიოლაშვილი

ამთქნარეთ სიჯანსაღისთვის!!!

მთქნარება – უპირობო რეფლექსი, უნებური სუნთქვითი აქტია, რომელიც ღრმა ნელი შესუნთქვითვისა და სწრაფი ენერგიული ამოსუნთქვისაგან შედგება. მთქნარების აქტში, მონაწილეობას იღებენ პირის ღრუს, სახის და კისრის კუნთები.

მათი დაჭიმვა ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევის გაძლიერებას თავის ქალის სისხლძარღვებში. მთქნარების პროცესში უმჯობესდება სისხლის მიწოდება თავის ტვინის უჯრედებში, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ მეტი საკვები ნივთიერებები, მეტი ჟანგადი შედის და განიდევნება გადამუშავებული პროდუქტები და ნახშირორჟანგი. მთქნარების აქტში მონაწილე კუნთების დაჭიმვა იცვლება მათი გათავისუფლებით, რაც ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით აქტიურად დუნდება ისეთი ნერვიული დაბოლოებები მდიდარი კუნთები, როგორებიცაა სახის, საყლაპავის და ხორხის კუნთები. ამავდროულად, ადამიანს უჩნდება სასიამოვნო სიმშვიდის განცდა. მთქნარების ექსპერიმენტალური კვლევის დროს ცდის პირები ასეთ აღწერებს იძლევიან: „საოცარი სიმსუმბუქე ვიგრძენი“, „თითქოს შიგნით რაღაც გამითავისუფლდა“, „სხეულის საზღვრები გაქრა“, „წყვდიადში ჩავეშვი“, „ყოველგვარი საზრუნავი გამიქრა“, და ა.შ

ალბათ, შენიშნეთ, რომ ეს გამოთქმები ძალიან ჰგავს იმ შეგრძნებებს, რომლებსაც ადგილი აქვს მედიცინაში და ფსიქოთერაპიაში ფართოდ გამოიყენებული განსაკუთრებული მდგომარეობის დროს. ყოველივე ეს კი, ცნობილი ტრანსის, ჰიპნოზის, მედიტაციის სახელწოდებით. და მართლაც, მთქნარებას ადგილი აქვს გადაღლის, ნერვიული და ფიზიკური გადაძაბვის დროს, როდესაც ადამიანი ყველაზე მეტად საჭიროებს შინაგანი ძალების აღდგენას და მობილიზაციას. იბადება კითხვა: ხომ არ არის მთქნარება ბუნებრივი საგანგებო ტრანსის მდგომარეობა, რომელსაც ჩვენი ორგანიზმი ავტომატურად რთავს საჭიროების შემთხვევაში და მას გადაძაბვისაგან იცავს? აქვე გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ თქნარების კიდევ ერთ მნიშვნელოვან თვისებაზე - ის უაღრესად გადამდებია, ისევე როგორც ტრანსის მდგომარეობა, (ეს თვალსაჩინოდ ჩანს მასიური სეანსების დროს). ასეა თუ ისე, ეს ჰიპოთეზაა და ექსპერიმენტულ კვლევას და დამტკიცებას მოითხოვს. მაგალითად საინტერესოა, აღინიშნება თუ არა მთქნარების დროს ელექტროენცეფალოგრამებზე ისეთივე ალფა და ტეთა რითმები, რომელთაც ადგილი აქვს ტრანსისა და მედიტაციის დროს. მაგრამ ერთი რამ კი უდავოა-მთქნარების გამაჯანსაღებელი ეფექტი ეჭვს არ იწვევს და დადასტურებულია მთელი რიგი გამოკვლევებით. მაგალითად, მთქნარება ამაღლებს ორგანიზმის საერთო ტონუსს, აუმჯობესებს გულისა და ფილტვების სისხლით მომარაგებას, მუცლის კედლის დაჭიმვის ხარჯზე ღვიძლიდან გამოისვრის შლაკებს და ა.შ. სხვათა შორის, იაპონიაში ელექტრონული მრეწველობის მოხელეები სპეციალურ სავარჯიშოს ასრულებენ-ყოველ 30 წუთში ერთსულოვნად ამთქნარებენ. თურმე ეს სავარჯიშო მკვეთრად ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ასე რომ, ამთქნარეთ სიჯანსაღისათვის.

მთქნარების იმიტაცია, ანუ სავარჯიშო კი შემდეგნაირად სრულდება. ***დაჭიმეთ პირის ღრუ თითქოს წარმოთქვამთ დაბალ გაბმულ „უ უ უ“-ს . ეს უნდა გააკეთოთ დახუჭული თვალებით, რაც შეიძლება ფართოდ გაღებული პირით და ზმორებით, როდესაც წარმოთქვამთ მგერა „უ“-ს, წარმოიდგინეთ, რომ პირში წარმოიშვება რაღაც სივრცე, რომლის ძირი თითქოს სულ უფრო და უფრო ქვემოთ ეშვება.***

ბესიკ გიგოლაშვილი
ფსიქოლოგი

მერაბ დვალიშვილის განვლილი გზა ჩემპიონობამდე

მერაბ დვალიშვილი ქართველი შერეული საბრძოლო ხელოვნების (MMA) მებრძოლია, რომელიც ამჟამად აბსოლუტურ საბრძოლო ჩემპიონატში UFC-ში იბრძვის.

მერაბ დვალიშვილი ვანის რაიონის სოფელ სულორში იზრდებოდა, სწავლობდა სულორის საშუალო სკოლაში, მოგვიანებით სწავლა განაგრძო თბილისში. ახალგაზრდულ ასაკში დაიწყო ვარჯიში ქართულ ჭიდაობაწში, სამბოსა და ძიუდოში. 21 წლის ასაკში საცხოვრებლად გადავიდა აშშ-ში და გახდა პროფესიონალური შერეული ორთაბრძოლების მებრძოლი. მისი მწვრთნელები არიან რეი ლონგო და მატ სერა. 2019 წელს დვალიშვილმა სამბოს მსოფლიო ჩემპიონატზე, 68კგ წონით კატეგორიაში დაიკავა მეორე ადგილი. ის ფინალში რუს სტეფან კობენოვთან დამარცხდა.

UFC

მერაბ დვალიშვილმა პროფესიონალური საბრძოლო კარიერა 2014 წელს დაიწყო. ის Ring of Combat-ზე გამოდიოდა, სადაც პირველი სამი ბრძოლიდან ორი წააგო. ამერიკელი დარენ მიმა იყო პირველი, ვინც მისი დამარცხება შეძლო და დღეს მის შესახებ MMA-ის სამყაროში ბევრი არავინ არაფერი იცის, თუმცა, მას ახლა ნამდვილად შეუძლია იამაყოს, რომ ოდესღაც დაამარცხა ადამიანი, რომელიც უკვე ყველაზე პრესტიჟული ორგანიზაციის, UFC-ის ჩემპიონია.

მერაბი UFC-ში წლების წინ DANA WHITE LOOKIN' FOR A FIGHT-ის მეშვეობით მოხვდა. ქართველმა სპორტსმენმა 2017 წლის ივნისში, იმ მომენტისთვის დაუმარცხებელი სტატუსის მქონე რუფეონ სტოტსი პირველსავე რაუნდში დაამარცხა. ამით დვალიშვილმა ROC-ის ქამრის დაცვა მოახერხა. მალევე, ქართველმა სპორტსმენმა შეიტყო, რომ დანა უაითის გადაწყვეტილებით, ის UFC-ის მებრძოლი გახდა და ყველაფერი, სწორედ აქედან დაიწყო.

დვალიშვილს ყველაზე დიდ ორგანიზაციაში წარუმატებელი დებიუტი ჰქონდა. მეტიც, მან ზედიზედ ორი ორთაბრძოლა წააგო. ჩხუბი ჯერ მსაჯების გადაწყვეტილებით ფრენკი საენცთან დათმო, ხოლო შემდეგ რიკი საიმონს ვერ გაუმკლავდა. ამის შემდეგ, ალბათ, ბევრი სპორტსმენი ხელს ჩაიქნევდა, თუმცა, არა მერაბი. მას დანებება არასდროს ახასიათებდა. რიკისთან მარცხი 2018 წლის 21 აპრილს დაფიქსირდა და ამის შემდეგ, ქართველი ათლეტის ნამდვილი აღზევებაც დაიწყო. დვალიშვილის პირველი გამარჯვება UFC-ში 2018 წლის 15 სექტემბრით თარიღდება, როდესაც მან ტერიონ ვეირი დაამარცხა და, სხვათა შორის, მერაბმა პირველად შონ ო'მალი სწორედ იმ პერიოდში გამოიწვია.

ტერიონთან მოგებას მერაბის ხანგრძლივი გამარჯვებათა სერია მოჰყვა. დვალიშვილის „მსხვერპლთა" სიაში დროთა განმავლობაში ჩაეწერნენ ბრედ კატონა, კეისი კენი, გუსტავო ლოპესი, ჯონ დოდსონი, კოდი სტამანი და მარლონ მორაესი.

2022 წლის აგვისტოში კი მერაბმა ბრძოლა ლეგენდარულ ექს-ჩემპიონ, ჟოზე ალდოსთან მიიღო. ბრაზილიელ ლეგენდასთან 3-რაუნდიანი დაპირისპირება ქართველის სრული დომინაციით წარიმართა და საბოლოოდ, „მანქანამ" მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით იმარჯვა. ამის შემდეგ, ალდო იმასაც კი ამბობდა, რომ მერაბმა მის ოცნებას, რომ კიდევ ერთხელ გამხდარიყო ჩემპიონი, წერტილი დაუსვა და, საერთოდაც, კარიერის დასრულებაზე ფიქრობდა. აქედან დაახლოებით 6 თვის თავზე, მერაბმა UFC-ში კიდევ ერთ ყოფილ ჩემპიონ, რუს პიოტრ იანთან ბრძოლა მიიღო. ეს უკანასკნელი დვალიშვილის მიმართ დიდ უპატივცემულობას იჩენდა და სწორედ ამის გამო, ის ქართველმა სპორტსმენმა სამაგალითოდ დასაჯა. ეს მერაბისთვის პირველი 5-რაუნდიანი ორთაბრძოლა იყო, რომელსაც თავი შესანიშნავად გაართვა და შეიძლება ითქვას, რომ რუსი სპორტსმენი თავის გემოზე აბურთავა! მერაბმა პიოტრს ჭკუა ასწავლა.

2024 წლის თებერვალში კი „მანქანას" მორიგ ყოფილ ჩემპიონ, ლეგენდარულ ჰენრი სეხუდოსთან მოუხდა დაპირისპირება, რომელიც ამბობდა, რომ UFC-ში იმისთვის დაბრუნდა, რათა ამჟამინდელი ტოპ მებრძოლებისთვის დაემტკიცებინა, რომ მათზე გაცილებით უკეთესია, მაგრამ რეალურად მან მერაბთან საერთოდ ვერაფერი გააწყო. ქართველმა ათლეტმა ოლიმპიურ ჩემპიონს ყველაფერი გაუკეთა, რისი გაკეთებაც მოისურვა. ასეთი უსუსური სეხუდო MMA-ის სამყარომ პირველად იხილა.

ჰენრისთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ კი დვალიშვილი იმ დროისთვის მოქმედ ჩემპიონ, შონ ო'მალისთან ბრძოლას ითხოვდა. მართალია, თავდაპირველად, ამერიკელი ამას თავს არიდებდა და საუბრობდა იმაზე, რომ სურდა ილია თოფურიას შეხვედროდა, რომელიც ქვემსუბუქი წონის ახალი ჩემპიონი იყო და ამბობდა, რომ მისთვის მერაბი დიდ საფრთხეს არ წარმოადგენდა, თუმცა, საბოლოოდ გულშემატკივრების მხრიდან განცდილი დიდი ზეწოლის შემდეგ, ორგანიზაცია და თავად შონი იძულებულნი გახდნენ, რომ მერაბ დვალიშვილთან ბრძოლის კონტრაქტზე ხელი მოეწერათ.

ო'მალი საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული იყო და დვალიშვილს აგდებულად მოიხსენიებდა. ის და მისი მწვრთნელი ქართველის მიმართ პატივისცემას არ იჩენდნენ. ერთ-ერთ პოდკასტში შონმა ისიც კი იკითხა, ყველა ქართველი მერაბისნაირი მხდალი ხომ არ იყო. ეს კი მერაბისთვის წითელი ხაზი გახლდათ. მან შონი გააფრთხილა, რომ მისი ხალხისა და ქვეყნის შეურაცხყოფას არ აპატიებდა და ამ უპატივცემულობისთვის ისევე დაისჯებოდა, როგორც ახლო წარსულში პიოტრ იანი დაისაჯა.

2024 წლის 15 სექტემბერს სფეროს უნიკალურ დარბაზში NOCHE UFC-ის სახით წლის ერთ-ერთი მორიგი დიდი და გრანდიოზული ღონისძიება გაიმართა, რომლის მთავარ ბრძოლაშიც შონ ო'მალი მერაბ დვალიშვილს დაუპირისპირდა და „მანქანამ" თავისი სიტყვა შეასრულა. მერაბმა 5 რაუნდის განმავლობაში შონი აშკარად დაჩაგრა და ამერიკელი ფაქტობრივად უშანსოდ დატოვა. დვალიშვილმა მორიგი დომინანტური გამარჯვება მოიპოვა და UFC-ის სუპერმსუბუქი წონითი კატეგორიის ახალი მეფე გახდა! ის ამ ორგანიზაციის ისტორიაში რიგით მეორე ქართველი ჩემპიონიცაა და აღსანიშნავია, რომ UFC-ში საქართველო ყველაზე პატარა ქვეყანაა, რომელიც ერთდროულად ორი ჩემპიონითაა წარმოდგენილი.

მერაბის ოცნება რეალობად იქცა. მისმა დაუღალავმა შრომამ შედეგი გამოიღო და დღეს ის მსოფლიოს საუკეთესო მსუბუქწონიანი მებრძოლია, რომელიც უკვე მწვერვალზე დგას. ბრძოლის შემდეგ, მერაბმა საზოგადოებას მიმართა და უთხრა, რომ არასდროს შეწყვიტონ თავიანთი ოცნებებისთვის ბრძოლა და ასეთ შემთხვევაში სურვილებს აუცილებლად აისრულებენ.

აუცილებლად გასათვალისწინებელი და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წლების წინ, ამერიკაში ჩასული მერაბ დვალიშვილი მშენებლობაზე დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა, სახლებსაც არემონტებდა, რათა ფული შეეგროვებინა საიმისოდ, რომ დარბაზში სავარჯიშოდ საჭირო თანხა გადაეხადა. მან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მიუხედავად მუშაობისგან გამოწვეული დაღლილისა, საღამოობით ის დარბაზში მიდიოდა და თავდაუზოგავად ვარჯიშობდა, რათა უკეთესი მებრძოლი გამხდარიყო და თავისი ოცნებისთვის მიეღწია. ***2024 წლის 15 სექტემბერს, მერაბმა ეს ყველაფერი დააგვირგვინა, ისტორია დაწერა და როგორც ქართული, ასევე მსოფლიო სპორტის ისტორიაში შევიდა, როგორც UFC-ის ჩემპიონი.*** ეს ნამდვილად ის შემთხვევაა, როცა ამ წარმატების უკან დიდი შრომა დევს!

„ამერიკაში შენთვის არავის სცალია, ყველას თავისი საქმე აქვს - აქაურ გადასახადებს რომ გაუმკლავდეს, ნორმალურად რომ იცხოვროს, ყველამ უნდა იმუშაოს. მე კი, რადგან აქ სპორტში არავინ მიცნობდა, ბრძოლებში თანხასაც არ მიხდიდნენ. პროფესიონალებში რომ გადავსულიყავი, სახელის მოსახვეჭად ყველაფერი ნულიდან დავიწყე.

მშენებლობაზე მივედი სამუშაოდ, რადგან სახლების დასანგრევად ფიზიკურად ძლიერი, გამძლე და ამტანი ბიჭები სჭირდებოდათ. პირველი ზამთარი ძალიან ძნელი იყო - ფიზიკურად მძიმე მუშაობა, დანგრევა და მერე ამ ნაგვის კონტეინერში ჩაყრა, თან, ყოველდღე, კვირის გარდა, გარეთ, ყინვაში მიწევდა მუშაობა 8 და 10 საათი - დილის 7-დან, დაახლოებით, 5 საათამდე. მერე ნახევარი საათი ცხელი შხაპის ქვეშ ვდგებოდი, რომ გავმთბარიყავი და მხოლოდ ამის შემდეგ მივდიოდი ვარჯიშზე.

სახლების მშენებლობა რომ დავიწყე, ძირითადად სულ სახურავზე მიწევდა ასვლა. ამერიკული და კანადური სახლები თავიდან ხის კონსტრუქციებით შენდება, რომლის ყველა დეტალი ხელით უნდა გააკეთო. სიმაღლეებზე და სახიფათო მომენტებზე მე მიშვებდნენ, რადგან წონით პატარა და მოხერხებული ვარ, თან არ მეშინოდა და მეც მიყვარდა რისკი და ექსტრემი. კატასავით დავცოცავდი და ბევრჯერ გადავრჩენილვარ. ახლა, რომ ვუფიქრდები, ერთადერთი იმას ვნანობ ჩემს ემიგრაციულ ცხოვრებაში, რომ ძალიან ვრისკავდი, საფრთხეში ვიგდებდი თავს, მაგრამ სხვა გზაც არ იყო, მაშინ ასე იყო საჭირო. ერთხელ, ხის ხარაჩო ჩაინგრა, ჩამოვვარდი და ერთი კვირა ვერ ვდგებოდი საწოლიდან. მაშინ მივხვდი, რომ აქ მარტო ვიყავი და შეცდომის დაშვების და ცუდად ყოფნის უფლება არ მქონდა.

ნელ-ნელა თითქმის ყველა ხელობა ვისწავლე და ფიზიკურად ისე აღარ ვიღლებოდი. თან, უკვე შენობაში ვმუშაობდი და არ ვიყინებოდი. ამიტომ სპორტულადაც გავაქტიურდი. თავიდან არარეალური, შორი და წარმოსადგენადაც კი თითქმის შეუძლებელი იყო, როდისმე თუ მოვხვდებოდი UFC-ში, სადაც მხოლოდ ამ სპორტის ვარსკვლავები არიან" - ამბობს მერაბ დვალიშვილი.

მერაბ დვალიშვილმა შონ ო'მალისთან გამართული ჩხუბის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების მხრიდან დასმულ სხვადასხვა თემებთან დაკავშირებულ შეკითხვებს უპასუხა: „როდესაც უაითმა წელზე ქამარი გამიკეთა, ეს საოცარი შეგრძნება იყო. ამისთვის მრავალი წელი ვმუშაობდი. ის კარგი ადამიანია და მას პატივს ვცემ. მან აღმომაჩინა და შანსი მომცა, რითაც ჩემიც ხოვრება შეცვალა.

აქამდე 3 ყოფილი ჩემპიონი დამარცხებული მყავდა. შონი მეოთხე ჩემპიონია, რომელსაც ვაჯობე. თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ეს MMA-ის ბრძოლაა და ყველაფრისთვის მზად ვიყავი. ჩემთვის ამ ბრძოლაში გასაკვირი და მოულოდნელი არაფერი ყოფილა.

როცა მას მხარზე ვაკოცე, ამით ვაჩვენე, რომ მასზე ვდომინირებდი და ბრძოლაში ხალისი შემოვიტანე. ეს ბიჭი არ მძულს, უბრალოდ საქმე მოითხოვს ამ ყველაფერს. უამრავ არენაზე მიბრძოლია, მაგრამ როდესაც აქ შემოვედი და დავინახე შოუს გაფორმება, ეს ნამდვილად ძალიან ლამაზი იყო. ჩემთვის კარგი გამოცდილება აღმოჩნდა, თუმცა, პროფესიონალი მებრძოლი ვარ და მზად ვარ, ნებისმიერ ლოკაციაზე ჩავატარო ბრძოლა.

საქართველომ მე მომცა ყველაფერი. მთელი ეს ენერგია და ძალა. ჩვენ ერთმანეთს ძალიან ვგულშემატკივრობთ. მე მზად ვარ, რომ ჩემი ქვეყნისთვის მოვკვდე. მადლობას ვუხდი თითოეულ ქართველს.

ილიასა და მაქსის ბრძოლას რაც შეეხება, რა თქმა უნდა, ილია ჩემი ძმაა და მას ვგულშემატკივრობ. მაქსი კარგი მებრძოლია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ თოფურია ქამარს დაიცავს".

შონ ო'მალისთან გამარჯვებისა და UFC-ს მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ, ოქტაგონზე ქართველის სავარაუდო მომდევნო მეტოქე გამოცხადდა. მერაბის სიტყვით გამოსვლის დროს, წამყვანმა აღნიშნა, რომ ქართველს ქამრის პირველი დაცვა დიდი ალბათობით უმარ ნურმაგომედოვის წინააღმდეგ მოუწევს. 28 წლის მებრძოლი ხაბიბ ნურმაგომედოვის ნათესავია და ამ დრომდე დაუმარცხებელია - უმარს კარიერაში 18 გამარჯვება აქვს, უშუალოდ UFC-ში კი ზედიზედ 6-ჯერ შეძლო გამარჯვების მოპოვება.

„უმარი რუსეთიდან არ არის. ის დაღესტანელია, მაგრამ აქ რუსეთის დროშით გამოდის, მაგრამ აქ მთავარი ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული დამოკიდებულება არაა. უმარი კარგი მებრძოლია, თუმცა, ტოპ 15-დან მან მხოლოდ ერთი, სენდჰეგენი დაამარცხა. ქორის პატივს ვცემ, თუმცა...

როცა ამერიკაში პირველად ჩამოვედი, სულ მინდოდა რომ ბევრი ბრძოლა ჩამეტარებინა. პირველი ორი მარცხის შემდეგ, სულ ვცდილობდი, რომ ორიენტირებული ვყოფილიყავი მომდევნო ბრძოლაზე და უკეთესი გავმხდარიყავი. შონ ო'მალი ტოპ მებრძოლია, მაგრამ დღეს საუკეთესო მე ვარ და ეს დავამტკიცე. მე ძალიან ამაყი ვარ იმ ცხოვრებით, რომელიც გამაჩნია. ალჯამეინ სტერლინგი ჩემი ახლო მეგობარია. ჩვენ ერთმანეთს მუდამ ვგულშემატკივრობთ. მე და ალჯო ოჯახებით ვმეგობრობთ. როდესაც მეუბნებოდნენ, რომ მასთან უნდა მეჩხუბა, სულ ვამბობდი, როგორ შეიძლება დავუპირისპირდე ტიტულისთვის ასეთ მეგობარს. ჩვენ არ გვინდოდა, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ გვებრძოლა.

საქართველო მიყვარხარ, მალე შევხვდებით. ჩვენ ეს შევძელით, ყველაფერი წინ არის! მინდა გითხრათ, რომ აქ მაგიური არაფერია, მხოლოდ დაუღალავი შრომით შეიძლება ოცნებების ასრულება!".

„მინდა, მივულოცო მერაბ დვალიშვილს ეს უდიდესი წარმატება. ყველა თვალყურს ვადევნებდით ამ მნიშვნელოვან გამოსვლას, რასაც მთელი საქართველო ძალიან დიდი ინტერესით ელოდა და უნდა აღინიშნოს, რომ უკვე მეორე წელია, ქართველი იგებს UFC-ს, რაც არის უნიკალური მიღწევა და ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულ სპორტულ ტალანტზე და ქართველების ნიჭზე მეტყველებს. უნდა აღინიშნოს, რომ მერაბს ამ წარმატებამდე ძალიან რთული გზა აქვს გავლილი და მისთვის ეს გამარჯვება ორმაგად დასაფასებელია. ჩვენ ვაგრძელებთ ტრადიციას და პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება მერაბ დვალიშვილის უმაღლეს სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენის შესახებ, - განაცხადა მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ.

GIVEMESPORT მეინ ქარდის მონაწილე ტოპ მებრძოლების მიერ გამომუშავებულ თანხებს ასაჯაროებს, საიდანაც ირკვევა, რომ ყველაზე მეტი - 3 მილიონი შონ ო'მალიმ გამოიმუშავა. მერაბ დვალიშვილს კი 500,000 ხვდა წილად.

„ცოტა ხნის წინ, ამ ყველაფერზე ოცნებაც კი არ შემეძლო, რადგან უამრავი პრობლემა და დაბრკოლება მხვდებოდა გზაზე როგორც ემიგრანტს, მაგრამ ახლა ყველა დაბრკოლება გადალახულია. წინ უფრო მეტი მიზანი და გამარჯვებებია". საბოლოოდ, კი მერაბ დვალიშვილის წარმატების ფორმულა ასე გამოიყურება: შრომა + მიზანდასახულობა + შეუპოვრობა...

მოამზადა

ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

კიდევ ერთი უსაფლავო გმირი ქვემო ქედიდან

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა. სწორედ სოხუმის დაცემის დღიდან გაუჩინარდა და ამ დრომდე უგზოუკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა დედოფლისწყაროს სოფელ ქვემო ქედში მცხოვრები 30 წლის შოთა ჭინჭარაული. 1993 წელს მისი მცირეწლოვანი გოგონა, რომელიც პირველ კლასში შედიოდა, ელოდა, რომ 1 სექტემბერს სკოლაში მამა წაიყვანდა, თუმცა მამა არ გამოჩენილა. ობლად დატოვა ორი მცირეწლოვანი შვილი. წლების შემდეგ უცხოური ტელევიზიის მიერ გადაღებულ ვიდეოში შენიშნეს, რომ რამდენიმე მებრძოლთან ერთად ის ტყვედ იყო ჩავარდნილი და ვარაუდობენ, რომ დახვრიტეს. სხვაგან მის კვალს ვერსად მიაგნეს.

შოთა ჭინჭარაული 1963 წლის 3 ივლისს დაიბადა დედოფლისწყაროს სოფელ ქვემო ქედში. ის ერთ-ერთი იმ ხევსურთაგანია, რომლის ოჯახიც თავის დროზე ხევსურეთიდან კახეთში ჩაასახლეს. მისი თანამებრძოლები ყვებიან, რომ შოთა ჭინჭარაული სოხუმის დაცემის დღეს, 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმთან გამართულ ბძოლებში უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ШМАГИ ჭИНჭАРАУЛИ ***(გმირის ძმა):*** „შოთა 7 წლის იყო, მამა დიაბეტით[illegible] რომ დაგვეღუპა და დედამ სამი ობო[illegible]ლი მარტომ გაგვზარდა. კოლექტივშ[illegible] მუშაობდა და ვენახში დადიოდა, ას[illegible] დაგვაყენა ფეხზე. 3 წლით უფროს[illegible] იყო და სამაგალითო ძმობა გვქონდა[illegible] რაიმე ახალს თუ გაიგებდა, ცდილობ[illegible] და ჩემთვის ესწავლებინა. ვინაიდან[illegible] მარჩენალდაკარგული ოჯახი ვიყავით[illegible] და დედა მუშაობდა, ამიტომ დაწყებითი[illegible] კლასები შოთამ ქვემო ქედის სკოლაში[illegible]იარა, შემდეგ კი წითელწყაროს სკოლა-ინტერნატში შეიყვანა. რვა კლასიდან კი სოფელ ჯაფარიძის პროფტექნიკუმში დადიოდა. უმაღლესი განათლება არ მიუღია, მაგრამ ბავშვობიდან ნიჭიერი იყო. პატარაობიდანვე ხატვა უყვარდა და დიზაინის ნიჭი ჰქონდა. წინ დაისვავდა ადამიანებს და საოცარ პორტრეტებს ქმნიდა. ზოგადად, კარგად ხატავდა. ფანქრითაც ხატავდა და გუაშსაც იყენებდა. სამწუხაროდ მისი ნახატები არ შემოგვრჩა, თუ ვინმეს აჩუქა, შეიძლება ჰქონდეთ. ჯაფარიძეში ჭრა-კერვა ისწავლა და საკმაოდ კარგად გამოსდიოდა. კარგი ხელი ჰქონდა და ყველას მოსწონდა მისი მუშაობა. ძლიერ მკერავად ითვლებოდა და ბევრი კმაყოფილი მომხმარებელი ჰყავდა. სკოლის დამთავრების შემდეგ 1981-83 წლებში ვორონეჟში გაიარა სამხედრო სავალდებულო ჯარი. იქიდან რომ დაბრუნდა ნელი არაბულზე იქორწინა და ქალ-ვაჟი შეეძინა. როცა ჩემი ძმა ომში დაიკარგა, მისი შვილები პატარები იყვნენ, ამიტომ მამა ბუნდოვნად ახსოვთ. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ სამკერვალო სალონი გახსნა არხილოსკალოში და ქვემო ქედში, სოფელ ჯაფარიძეშიც მუშაობდა. ომის დაწყებამდე წელიწადზე მეტი თბილისშიც იმუშავა მკერავად. შარვლებს, კოსტიუმებსა და პერანგებს კერავდა. მაშინ დიზაინერები არ იყვნენ, მაგრამ მათზე ნაკლებად არ კერავდა. ამიტომაც შეკვეთები სულ ჰქონდა. ყველაზე მეტად მე ვუყვარდი. საერთოდ არ ვჩხუბობდით. დედმამიშვილებს შორის რაიმე ბავშვური დაპირისპირება არ მახსოვს. ისე გავიზარდეთ ხელიც არ წამოურტყამს ჩემთვის. სულაც არ იყო კონფლიქტური. მშვიდი, წყნარი და ხალისიანი იყო. ცხოვრება უყვარდა. ძალიან გახსნილი ადამიანი იყო, მეგობრებისთვის თავს განირავდა. ამიტომაც, მის სიტყვას აფასებდნენ. თვითონ იგონებდა ესკიზებს, რამეს რომ შეკერავდა ჯერ მე მომაზომებდა, ისეთი ხელი ჰქონდა ყველას გააოცებდა ხოლმე. მოკლე დროში კერავდა, ზოგჯერ ზომების აღებაც არ სჭირდებოდა ისე ამზადებდა.

ისეთი იყო, ომში წასვლას თავს არ აარიდებდა. უნდა წავიდე, ჩემი ქვეყნისთვის ვიბრძოლოო. წავიდა და სიცოცხლე დათმო. ერთ ხანს კონფლიქტი მიწყნარდა, ხალხი აფხაზეთში დააბრუნეს, სწავლა დაიწყეს და მერე კონფლიქტი ისევ გამწვავდა. ამ პერიოდში ოჯახში ჩამოვიდა, რამდენიმე დღე დარჩა, შვილები მოისურვილა. ვთხოვეთ აღარ წასულიყო, მაგრამ არ დაიშალა - წავიდა, მალევე სოხუმი დაეცა და მისი კვალიც გაქრა. ვიცით, რომ წინა ხაზზე იყო და ტყვედ ჩავარდა 7-8 მებრძოლთან ერთად. 20 წლის განმავლობაში ვეძებდით. რამეს თუ გავიგებდი, ან ვინმე თვითმხილველი იყო, ყველგან მივდიოდი. ენგურის ხიდზეც ჩავედი. ამ ტყვეებიდან [illegible]მხოლოდ ერთი დაბრუნდა, [illegible]ფუშელი როინ მთივლიშ[illegible]ვილი. 2-3 წლის შემ[illegible]დეგ ისიც მოვნახე, [illegible]ვესაუბრე. ამბობს: [illegible]ჩეჩნებმა გამიტაცეს და მათთან გადამიყვანესო. შემდეგ ოჯახს დამაკავშირეს და გამოსასყიდის სანაცვლოდ გამომიშვესო. შოთა ბოლოს სხვებთან ერთად ვნახე და მერე არაფერი ვიციო. საიმედო მანაც ვერაფერი გვითხრა. დედაჩემი 2013 წელს გარდაიცვალა და ბოლო დღემდე შოთას ცოცხალს ელოდა. ღიად არ გამოხატავდა, ჩვენ ცრემლს არ გვაჩვენებდა, მაგრამ განიცდიდა. რთული წლები გადავიტანეთ, ცხოვრება ჭირდა. მე ოჯახი არ შემიქმნია, ძმიშვილებს საკუთარი შვილებივით ვზრდიდი, ერთ ჭერქვეშ ვიცხოვრეთ. მის შვილს გიორგის ორი გოგონა ჰყავდა, მესამე ბიჭი შეეძინა და ახლა ჩემი ძმის მოსახელე 10 წლის შოთა ჭინჭარაული გვეზრდება.“

ნელი აფციაური ***(მეუღლე):*** „არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, სიკეთით სავსე. დასასვენებლად ვიყავი წასული და მეგობრის დახმარებით გავიცანი. ერთი ნახვით შეყვარება ერქვა ამ ამბავს. ახლაც მეღიმება ამ ისტორიაზე. ძალიან პატარა ასაკში შევქმენით ოჯახი. მამაჩემი პარიკმახერი იყო და შემთხვევით თმის შესაჭრელად მასთან მისულა, ცოლი მომყავს, გამალამაზეო. შეაჭრა და მაშინვე გავიპარეთ. მამაჩემი რომ მოვიდა და იცნო, ეს ხევსური კაცი გადაირია. ორჯერ მიიღო გაწვევის უწყება და არც დაფიქრებულა, სამშობლოს დასაცავად წავიდა. როგორც მახსოვს ავჭალის ბატალიონში იყო. რამდენიმე თვის შემდეგ ვითარება რომ დამშვიდდა ცოტა ხნით ოჯახში შვილების სანახავად დაბრუნდა. ივლისი-აგვისტო იქნებოდა როცა ჩამოვიდა. სიმართლე გითხრათ, მეორედ რომ მიდიოდა ბევრჯერ ვთხოვე, აღარ წასულიყო. ბავშვებს ჭირდები, მიხედვა უნდათ, დარჩი, ნუღარ წახვალ მეთქი. ეს ყველაფერი სამშობლოს დაცვა იყო, მაგრამ დიდ თამაშს ჰგავდა. არ გაჩერდა, რაც არ უნდა მოხდეს, უნდა წავიდე და სამშობლო დავიცვაო. ისეთი ხასიათის იყო, უკან არასოდეს დაიხევდა, საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობისთვის ყველაფერს გააკეთებდა. როცა ქვეყანას უჭირდა, არაფრით არ დარჩებოდა შვილებთან. უნდოდა წასვლა და წავიდა კიდეც. გოგონამ შეუთვალა, სკოლაში პირველად მივდივარ, ჩამოდი შენ უნდა წამიყვანოო, მაგრამ აღარ დაბრუნებულა. ესიზმრებოდათ და სულ ქუჩას გაჰყურებდნენ, მაგრამ მამა არ ჩანდა. მტერს კი შეეწინააღმდეგა და თავადაც იქ დარჩა, მაგრამ მაშინდელ ხელისუფლებას მისი ოჯახისთვის არაფერი გაუკეთებია. სამშობლოს არ დაუფასებია მისი და მისნაირი გმირების ღვაწლი. ძალიან მიზერული დახმარებები გვქონდა. უამრავი განცხადება მქონდა შეტანილი, რომ ჩემს შვილებს დახმარება და თავშესაფარი ჰქონოდათ, მაგრამ არაფერი მიგვიღია. სულ მეუბნებოდა, იმდენი სიკეთე მაქვს გაკეთებული, ომში რამე რომ დამემართოს არ გაგიჭირდებათო, მაგრამ არავის ვახსოვდით და არც მთავრობა გვედგა გვერდით. ამდენი წელი გავიდა და არ იყო ყურადღება. იძულებული გავხდი საბერძნეთში წავსულიყავი და შვილები ასე დამეყენებინა ფეხზე, სხვა გამოსავალი არ მქონდა. მე როგორც ომში დაკარგულის მეუღლე და ჩემი შვილები ვერაფერს ვგრძნობდით და 14 წლის წინ ქვეყანა დავტოვე. მან სამშობლო დაიცვა, მაგრამ სამშობლომ არ დაიცვა მისი ოჯახი. ტყვედ ჩავარდა და მისი ნეშტიც უცნობია. მხოლოდ ვიდეო ნაწყვეტი დაგვრჩა, რომელიც უცხოურმა ტელევიზიამ შემთხვევით გადაიღო და სწორედ იქ ჩანს რამოდენიმე ბიჭთან ერთად ტყვედაა ჩავარდნილი. მას შემდეგ მისი კვალი ქრება, არც ცოცხალი ჩანს არც მკვდარი. მე ვფიქრობ, ეს ბიჭები გაიყვანეს და დახვრიტეს. ძალიან ბევრი ტანჯვა-წამება გამოიარა შოთამაც ომში და ჩვენც მისმა ოჯახმა სოფელში. ძალიან რთული წლები იყო და ჭირდა ცხოვრება. ახლა რომ ვაანალიზებ, ეს ყველაფერი ყალბი იყო. ტყუილ კონფლიქტს შეეწირა ამდენი ადამიანი. ეს არ იყო ნამდვილი ომი ქართველებსა და აფხაზებს შორის. თავს მოხვეული ბრძოლა იყო და ძალიან ემოციურია ჩემთვის ამ ყველაფრის გახსენება. ნეშტის მოძებნაზეც ბევრი ვიბრძოლეთ, მაგრამ ვერ მივაკვლიეთ. დნმ ანალიზიც ჩაბარებული გვაქვს, არაერთხელ ჩამოასვენეს აფხაზეთიდან გარდაცვლილები, მაგრამ შოთა არსად ჩანს. იმედით ცოცხლობს ადამიანი და იმედი გვაქვს ჩვენც. ცოცხალი რომ იყოს შვილების გარეშე ამდენი წელი არ გაჩერდებოდა, გამორიცხულია ეს. მაგრამ ნეშტსაც ვერსად ვპოულობთ. იმედი გვაქვს, ნეშტი მაინც გვექნება და თავის მშობლიურ კუთხეს წლების შემდეგ მაინც დაუბრუნდება. არ მაქვს იმედი, რომ სადმე ცოცხალი იქნება. სხვა არაფერი აღარ მინდა. უბრალოდ, გვქონდეს ადგილი, რომ მივიდეთ და სანთელი ავუნთოთ.“

ელიზბარ ქისტაური: „სოფელ ჯაფარიძეში ტექნიკუმთან სამკერვალოში ვმუშაობდი. შოთა მაშინ პროფესიულ ტექნიკუმში სწავლობდა, თუ არ ვცდები სატრაქტორო სპეციალობაზე. მაგრამ ხშირად მოდიოდა ხოლმე და ინტერესს გამოხატავდა. გვიყურებდა როგორ ვმუშაობდით და ამბობდა, რომ პატარაობიდან აინტერესებდა ეს საქმე. გამოთქვა სურვილი, მასაც ესწავლა. დეტალები აღარ მახსოვს, მაგრამ ისე აითვისა, რომ დამოუკიდებლადაც მუშაობდა და სამკერვალოები გახსნა. ეს საქმე მე სრულიად უსასყიდლოდ შევასწავლე. პატრიოტი ადამიანი იყო და საკუთარი სურვილით წავიდა ომში. თქვა — სამშობლოს დასაცავად უნდა ვიბრძოლოო, წავიდა და თავი გაწირა. დაღუპვამდე ჩამოსულიც იყო, ოჯახი ნახა და რომ წავიდა გაუჩინარდა. როგორც ვიცი, წლებია ეძებენ, მაგრამ არაფერი ისმის. ღმერთმა ქნას მიაგნონ, მაგრამ უიმედოდ ვარ. დასაფასებელია მისი საქციელი, უნდა გავიხსენოთ, რადგან გმირობა გამოიჩინა.“

კადრი უკანასკნელი ვიდეოდან. მარჯვნივ შოთა ჭინჭარაული ტყვეობაში. 23 სექტემბერი 1993 წელი, სოხუმი

ჭინჭარაულის გაუჩინარებიდან დიდი დრო გავიდა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლაც კი, ყოველწლიურად 90-იან წლებში დაღუპულთა 100-მდე ცხედარის გადმოსვენება ხდება ოკუპირებული ტერიტორიიდან, იმედის ნაპერწკალი ისევ არსებობს. შეგახსენებთ, ზემო მაჩხაანელი 24 წლის გოჩა პაპაჩაშვილის ნეშტი 32 წლის შემდეგ გადმოასვენეს და მიმდინარე წლის 28 მარტს თბილისში, ძმათა სასაფლაოზე სამხედრო პატივით დაკრძალეს. „წითელი ჯვრისა“ და საქართველოს მთავრობის ჩართულობით, ქართველებისა და აფხაზების მონაწილეობით საკოორდინაციო ჯგუფი მოქმედებს, რომელიც წელიწადში რამდენჯერმე ახდენს იდენტიფიცირებული ნეშტების ოჯახებისთვის დაბრუნებას და არაიდენტიფიცირებულთა ვინაობის დადგენას.

კახეთის ჩქაროსნულ გზაზე 60კმ/სთ-ით ნაკლები სიჩქარით მოძრაობა იკრძალება

თბილისი-საგარეჯოს ჩქაროსნულ გზაზე, საერთაშორისო უსაფრთხოების ნორმების დაცვით, დადგენილი იქნება მოძრაობის სიჩქარე 110 კმ საათში, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მაგისტრალზე, პირველად დაწესდება მინიმალური სიჩქარეც 60 კმ/სთ, ეს ნიშნავს, რომ ამაზე ნაკლები სიჩქარით მოძრაობა კახეთის ჩქაროსნულ გზაზე შეიზღუდება.

სამუშაოები საგარეჯო-ბადიაურის მონაკვეთზეც მიმდინარეობს, რომლის გახსნაც მომავალ წელს იგეგმება. თბილისი-საგარეჯოს 35 კმ-იანი 4 ზოლიანი ცემენტ-ბეტონის ჩქაროსნული საავტომობილო გზა შენდება. გზის პირველი მონაკვეთი, 4 კმ-იანი ვაზიანის შემოვლითი გზა, გასულ წელს გაიხსნა. ვაზიანი-საგარეჯოსა და საგარეჯოს შემოვლითი გზის, ჯამში 31 კმ-ზე, სამუშაოები აქტიურად გრძელდება და წელს დასრულდება.

ცნობისთვის, თბილისი-საგარეჯოს 35 კმ-იანი მაგისტრალური გზის მშენებლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და პროექტის ჯამური ღირებულება 527 მილიონ ლარს აჭარბებს.

ვენახში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

დედოფლისწყაროში 38 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს. ცხედარს სოფელ ქვემო ქედში, ერთ- ერთი ადგილობრივის კუთვნილ ვენახში მიაკვლიეს. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, გარდაცვლილი მეგობრებთან ერთად, რთველში იმყოფებოდა და სახლში აღარ დაბრუნდა. გარდაცვლილ მამაკაცს 16 სექტემბერს საკუთარ ავტომობილში, სოფლის განაპირას იმ ვენახში მიაგნეს, სადაც მეგობრებთან ერთად იყო.

გამოძიება მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს. გარდაცვალების რეალურ მიზეზს ექსპერტიზა დაადგენს.

„მეორე დღეს რომ მოიკითხეს, არსად ჩანდა. მამამისიც რეკავდა და არ პასუხობდა. დილიდან ახლობლები ეძებდნენ, ყველგან ნახეს, მაგრამ არსად იყო. როგორც ჩანს ვენახში არც უძებნიათ. შემდეგ ვიღაცას უთქვამს, მანქანა ვენახში ამდენი ხანი რატომ გიდგათო, წავიდნენ და მანქანაში მჯდარი გარდაცვლილი იყო. მძიმე წონის ბიჭი იყო და ვარაუდობენ, რომ გულმა უმტყუნა. ამბობენ, რომ ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და მკურნალობას გეგმავდა. ამიტომ სხვა ეჭვი არც გაჩენილა. საძილე არტერიაზე ჰქონდა პრობლემა და ამბობენ, ხშირად ეძინებოდა ხოლმეო. ამ ზაფხულს მის კლასს ბანკეტი ჰქონდა და იქაც დასძინებია. ვერ ვაღვიძებდით, სანამ თვითონ არ გაიღვიძაო.

როგორც ამბობენ, რთველის შემდეგ იქეიფეს, ღამით რომ დაშლილან, ყველა თავის მანქანით წავიდა. როგორც ჩანს ისიც მანქანაში ჩაჯდა მაგრამ მართვა ვეღარ შეძლო და დაეძინა. ალბათ დანარჩენები წავიდნენ და ვერ შენიშნეს რომ ის ჩამორჩა. ან შეიძლება ისიც იფიქრეს გაეღვიძება და წამოვაო. მეორე დღიდან რომ აღარ გამოჩნდა, მერე დაიწყეს ძებნა. გამოიძახეს 112 და მიზეზის დასადგენად გურჯაანის ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს. ერთი ღამის განმავლობაში ექსპერტიზა უტარდებოდა. მას ოჯახი არ ჰქონდა, დედაც გარდაცვლილი ჰყავს, მოხუც მამასთან ერთად ცხოვრობდა", — ამბობენ ქვემო ქედში.

შსს-ს პრესსამსახურში ამბობენ, რომ მომხდარზე მოკვლევა დაიწყო. საქმეს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს არხილოსკალოს განყოფილება აწარმოებს.

გვერდი მოამზადა

ილია მარტყოფლიშვილმა

ღირსების ორდენები ლაშა ბექაურსა და მის მწვრთნელს

13 სექტემბერს თბილისში, ორბელიანების საპრეზიდენტო სასახლესთან ოლიმპიელების ღირსების ორდენებით დაჯილდოვების ცერემონია გაიმართა. მთავრობის წარდგინებით პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ოლიმპიელებს, პარაოლიმპიელებს და მათ მწვრთნელებს მთავრობის უმაღლესი ჯილდო გადასცა. ამჯერად ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელები დაჯილდოვდნენ წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით, დანარჩენი სპორტსმენები და მწვრთნელები კი ღირსების ორდენით.

ვიკა წიკლაური და **გელა ბექაური** ***(ლაშა ბექაურის მშობლები):*** „რა თქმა უნდა ვაცნობიერებთ რამდენად მნიშვნელოვანია ღირსების ორდენის მინიჭება ოლიმპიელებისთვის. ლაშამაც ბევრჯერ აღნიშნა, რომ ეს ქართველი ხალხისგან და ქვეყნისგან დაფასებაა. ლაშა უზომოდ მადლიერია, ხალხისგან მიღებული სიყვარულის, მხარდაჭერის გამო. თვლის, რომ დაუფასდა, ის დიდი თავდაუზოგავი შრომა, რაც სამშობლოსათვის გასწია... დიდი სიხარული და მხარდაჭერაა ჩვენთვის ლაშას მთავრობის უმაღლეს ჯილდოზე წარდგენა. გვიხარია ისიც, რომ მწვრთნელებიც დააფასეს და ისინიც დაჯილდოვდნენ. კახა წიკლაურის წვლილი დიდია ლაშას განვითარებაში, მცირე ასაკიდან მან დააყენა ის სწორ გზაზე, აზიარა ძიუდოს სიყვარულს, ამიტომ ორმაგი სიხარული იყო, როცა პრემიერმა მწვრთნელებიც წარადგინა ამ ჯილდოზე. ჩვენი ოჯახის სახელით მადლობა გვინდა ვუთხრათ ქართველ ხალხს და ჩვენს ქვეყანას, ხელისუფლებას მუდმივი მხარდაჭერისთვის, გულშემატკივრობისთვის და დაფასებისთვის. ძალიან დიდი მუხტი და ემოცია მოდის ხოლმე და ეს ლაშას ბრძოლის დროს ძალიან ეხმარება“.

ლაშა ბექაურის პირველ მწვრთნელს კახა წიკლაურს მთავრობის უმაღლესი ჯილდო აქამდეც ჰქონდა, ეს მისთვის მეორე ღირსების ორდენია. ამას გარდა წიკლაური 2017 წლიდან დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეცაა.

კახა წიკლაური ***(მწვრთნელი):*** „2012 წლის აგვისტოშიც გადმომეცა ღირსების ორდენი, მაშინაც 4 მოსწავლე წარმატებით ასპარეზობდა ევროპისა და მსოფლიო პრიზიორები გახდნენ. ახლაც სახელმწიფომ გამოხატა მადლიერება. უზარმაზარი ღონისძიება გაიმართა, საკმაოდ ბევრი ხალხი იყო მოსული და სპორტსმენები და მწვრთნელები წითელ ხალიჩაზე გავლით სცენაზე ავდიოდით. ხალხი გვესალმებოდა, სპორტსმენებს ტაშს უკრავდა. ემოციური საღამო იყო და ჩვენც ძალიან გახარებულები ვიყავით. ამხელა ლეგენდა სპორტსმენებთან და დამსახურებულ მწვრთნელებთან ერთად დგომა სასიამოვნო იყო ჩემთვის. ლაშა ჩვენი გაზრდილია, მაგრამ უნდა გავიაზროთ ისიც, რომ ამხელა შედეგი პირველად დაფიქსირდა საქართველოს ძიუდოს ისტორიაში. ყველას უხაროდა და სიყვარულს გამოხატავდნენ. ღირსების ორდენის გადმოცემა დიდი სიხარულია ჩემთვის, ეს ნიშნავს დაფასებას, შრომის აღიარებას. სასიამოვნოა, როცა ხედავენ შრომას და ცდილობენ მადლობა გადაგიხადონ და მითუმეტეს, მისასალმებელია როცა ქვეყანა ამას უმაღლესი ჯილდოთი გამოხატავს. მოგეხსენებათ, როგორც სპორტსმენი შრომობს, ასევე ყოველდღიურად იღწვის მწვრთნელიც, ის გეგმავს ტაქტიკას, განსაზღვრავს სამოქმედო გეგმას. ასე რომ, მწვრთნელის ღვაწლიც დიდია. მითუმეტეს რთულია, თუ ეს ყველაფერი სავარჯიშო პირობების გარეშე გიწევს. ორმაგად საწვალებელი იყო ჩვენი მომზადების პერიოდი. ენთუზიაზმით ვვარჯიშობდით და ცარიელი ხელებით ვემზადებოდით. მოტივაციას კი ყოველთვის მოახლოებული ჩემპიონატები გვაძლევდა. მიზანს დავისახავდით ხოლმე, რომ დაგეგმილ შეჯიბრებებზე წარმატებები მიგვეღწია და ასე ნელ-ნელა მივიწევდით წინ. ახლა რომ ვიხსენებ, ლაშას თაობა მართლაც სასწაული ნაკადი იყო. საოცარი ბიჭები იყვნენ. მაგალითად, ერთხელ თბილისში საქართველოს პირველობაზე სულ 5 სპორტსმენი წავიყვანე და ისე მოეწონათ ხუთივე ნაკრებში მოხვდა და დუშეთში წაიყვანეს.

სასიამოვნოა, როცა ამ ყველაფერს შენი სამშობლო ხედავს და აფასებს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიც გვერდში გვიდგას და აფასებს ჩვენს შრომას. მაქსიმალურად ცდილობენ, შეძლებისდაგვარად გვერდით დაგვიდგნენ და ჩვენი სამუშაო პირობები გააუმჯობესონ. მიხარია, როცა ჯერ მშობლიური რაიონი აფასებს ჩვენს შრომას და შემდეგ უკვე ქვეყანა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ადგილობრივ ხელისუფლებას დაფასებისთვის.

23 წელია მწვრთნელი ვარ, 2001 წლიდან არხილოსკალოში ვმუშაობ. იმდენად დიდი მოთხოვნა იყო, საკუთარი ინიციატივით გადავწყვიტე მოზარდებისთვის ძიუდო მესწავლებინა. არც ინვენტარი გვქონდა, არც ფართი. სკოლამ გამოგვიყო პატარა დარბაზი და იქ შევედით. ცარიელი ოთახი იყო, არაფერი გაგვაჩნდა. ქვემო ქედიდან ყოფილმა მწვრთნელმა ავთო ხუმარაშვილმა გვაჩუქა ტატამი და მაშინ ამას ოქროს ფასი ჰქონდა. ამით მან ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია. მის ლეიბებზე თაობები გავზარდეთ და დიდი წარმატებები ვიზეიმეთ. ცხადია, მათ შორის იყო ლაშა ბექაური. იყვნენ სხვა მხარდამჭერებიც. 5 წლის განმავლობაში უხელფასოდ ვიმუშავე, ხელფასს ვინ გადამიხდიდა, საკუთარი სურვილით დავიწყე ეს საქმე, მაგრამ სოფელს უჭირდა და არც გადასახადი დამიწესებია. შემდეგ უკვე ჩვენი ბიჭების წარმატებები ჩანდა და დედოფლისწყაროს გამგეობაში დამიბარეს. სპორტის სამსახურში გამაერთიანეს და 50 ლარი მქონდა ხელფასი. შემდეგ ნელ-ნელა ანაზღაურება იზრდებოდა და ასე მოვედით დღემდე. მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ისევ არხილოსკალოს სკოლის ოთახში გვიწევდა მომზადება. შემდეგ გადავედით ზემო ქედის დარბაზში, იქ დღემდე ვვარჯიშობთ და შედარებით უკეთესი პირობებია. თუმცა, მანამდე თუ ქედებიდან არხილოში დადიოდნენ, ახლა პირიქით, ზემო ქედში სიარული გვიხდება. 2021 წელს არხილოსკალოში ჩამოსული პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაგვპირდა, რომ სოფელში თანამედროვე სტანდარტების სპორტული დარბაზი აშენდებოდა, რომელსაც ლაშა ბექაურის სახელი მიენიჭებოდა. მისი მშენებლობა უკვე დასრულებულია და ამჟამად ავეჯისა და ინვენტარის განთავსება მიმდინარეობს. რამდენიმე დღეში პროცესი დასრულდება და გახსნისთვის მზად იქნება. მივიღებთ ყოველმხრივ გამართულ სივრცეს, რაც საშუალებას მოგვცემს დიდი მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ და მეტი ბავშვი მივიღოთ, ახალ დარბაზში მწვრთნელი მე ვიქნები, თუმცა კიდევ მომიწევს ახალგაზრდა მწვრთნელების დამატება. ამდენ მსურველს ერთი მასწავლებელი ვერ გაწვდება. გვყავს რამდენიმე ახალგაზრდა კანდიდატურა, რომელზეც ვფიქრობთ. ახლა 50 მოსწავლე გვყავს, მაგრამ წელს მიღება ჯერ არ დაგვიწყია, რადგან შენობის გადმოცემას ველოდებით. მონდომებული ბავშვები გვყავს, დიდ შრომას დებენ, შემართება არ აკლიათ, ჩვენც მხარში ვუდგავართ და დანარჩენი უკვე უფლისა და მომავლის საქმეა, რა შედეგზე გავლენ. არიან საქართველოს ჩემპიონები, პრიზიორები და მათთვის ლაშას მეორედ გამარჯვება კიდევ უფრო დიდი სტიმული და მაგალითი აღმოჩნდა. ამ ზონაში გადამდებია ეს სიხარული. კვირის გარდა ყოველდღე ვვარჯიშობთ, ჩვენთან სიარულის სურვილი აქვს სამთაწყარო-ფიროსმანის ახალგაზრდებსაც. მიდის მუშაობა იმაზეც, რომ მეზობელი სოფლებისთვის ტრანსპორტირების პრობლემა მოგვარდეს. ამ მოტივაციას ბევრად გაზრდის ახალი დარბაზი, რომელიც სულ მალე გვექნება.“

ამას გარდა, დედოფლისწყაროს მერია ლაშა ბექაურზე ოლიმპიადაზე მეორედ გამარჯვების ნიშნად ჯილდოს სახით 50 000 ლარს გასცემს, კახა წიკლაური კი 10 000 ლარს მიიღებს. ამ მოთხოვნით დედოფლისწყაროს მერიამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს უკვე მიმართა.

ილია მარტყოფლიშვილი

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 მეტრკვადრატი, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 მეტრკვადრატი ხეხილით, რკინის კარით.

ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61

ამინდი — დედოფლისწყარო

ორშაბათი 23.09		სამშაბათი 24.09		ოთხშაბათი 25.09		ხუთშაბათი 26.09		პარასკევი 27.09		შაბათი 28.09		კვირა 29.09	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
23°	13°	24°	12°	24°	13°	22°	12°	20°	12°	20°	11°	19°	11°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი